საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათი, 9 ნოემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 15 მანეთი

გაზეთის ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ჯდება 15 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 500 მანეთი. ნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 255

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

№ 255

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

რკინის გზის სასწავლო განყოფილება იწვევს
ხელ-გარჯილობის მასწავლებელს

თფილისის ქართულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლისათვის 18 გაკვეთილზე, საჭიროა დამთავრებული ჰქონდეს ფრებელის კურსები. ელისაბედის ქუჩა 200.

(3573—1—1)

აფიცერთა ეკონომიური საზოგადოების ზედამხედველი კომიტეტი აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ ამა წლის 20 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე საზოგადოების შენობაში (კირკის ქუჩა № 7) დანიშნულია რწმუნებულთა

საერთო კრება

განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) 1919 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, 2) მოხსენება საზოგადოების გამგეობის, ზედამხედველი კომიტეტის და სარევიზიო კომისიისა საზოგადოების მდგომარეობის შესახებ მიმდინარე წლის განმავლობაში, 3) მიმდინარე საკითხები.

(ნ. 3—2)

სახელმწ. თეატრი.

9 ნოემბერს

ქეთო და კოტე

10 ნოემბერს—რუსალკა. 11 ნოემბერს—აბესალომ და ეთერი. 12 ნოემბერს—ბალეტის საღამო მიხ. მორდკინისა. დასაწყისი 8 საათზე. (ნ. 1—1)

საქართველოს კოოპერატიულ ბანკის მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა

თანახმად ბანკის დამფუძნებელ კრების (15 მარტი 1920 წ. დადგენილებისა და ფინანსთა სამინისტროს სათანადო ნებართვისა საქართველოს კოოპერატიული ბანკი ადიდებს ძირითად თანხას 5.000.000 მანეთიდან—15.000.000 მანეთამდე; ამ ჟამათ გამოცემული იქნება 10.000 აქცია, თითო 1.000 მანეთის ნომინალური ღირებულებისა, შემდეგი პირობებით:

1. აქციებზე ხელის მოწერის უფლება აქვთ მხოლოდ კოოპერატიულ დაწესებულებებს (მომხმარებელ, საწარმოვო, სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერატივებს და მათ კავშირებს).
2. გამოსაცემი ფასი ამ აქციებისა დანიშნულია 1.050 მანეთი თითო აქციაზე, რომელი თანხაც შეიძლება გადახდილი იქნას ნაწილ-ნაწილადაც: 30 % ნომინალურ ღირებულებისა—მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე; 30 % ნომინალურ ღირებულებისა—მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე, ხოლო დანარჩენი 40 % ამავე წლის პირველ დეკემბრამდე.
3. აქციების გამოსაცემ ფასიდან 1.000 მანეთი ჩაირიცხება ძირითად თანხაში და ორმოცდა ათი მანეთიც საორგანიზაციო ხარჯების ფონდში.
4. აქციებზე ხელის მოწერა შეიძლება სარაიონო კოოპერატივთა კავშირებშიდაც აქციათა ღირებულების დაწესებულ ვადებში წარდგენით.
5. ის დაწესებულებანი, რომლებიც არ შეასრულებენ მე 2-ე მუხლში აღნიშნულ პირობებს აქციათა ღირებულების განსაზღრულ ვადაზე შემოტანის შესახებ, ჰკარგავენ უფლებას მეორე გამოცემის აქციათა შეძენისას.

(ნ. 10—10) **საქართველოს კოოპერატიული ბანკი.**

ქალაქ თფილისის და მისი მაზრის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა

აცხადებს, რომ კვირას ა/წ. 14 ნოემბერს დილის 10 საათ. კავშირის შენობაში (სასახლის ქ. № 5) შესდგება რწმუნებულთა

კ რ ე ბ ა

შემდეგი კითხვების განსახილველად: 1) ინფორმაცია ქალ. თფილისის და მის მაზრის კოოპერატივთა კავშირის უკანასკნელ დროის მოღვაწეობის შესახებ. 2) კავშირის წესდების შეცვლა, 3) საპაიო გადასახადის გადიდება კოოპერატივებში, 4) წარმომადგენლების არჩევა საქ. ცენტ. კოოპერატივთა კავშირის ყრილობაზე 5) მიმდინარე საქმენი.

თუ ვინიცობაა აღნიშნულ რიცხვში კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო მეორეთ კრება ინიშნება იმავე შენობაში იმავე დღეს დილის 11 საათზე და კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

(3614—2—1)

აჭარისათვის

განაპირა კუთხეების პოლიტიკა მცირე ქვეყნებისთვის უფრო მწვავეა, ვიდრე დიდისთვის.

ძლიერ სახელმწიფოს გარეშე მცხოვრებიც ზედ ეკვრის, მცირეს კი, თუ ოდნავ ყელი უშოვნა, გაურბის.

შეგნება დემოკრატიული, ბრძოლა რევოლიუციური, ჯერ კიდევ მხოლოდ კულტურული და პროლეტარული ცენტრების მთავარი თვისებაა. შეგნებით, თვის იდეალებისადმი მისწრაფება და ამ იდეალებისათვის თავდადება მეტი მათ ეხერხებათ.

ჩამორჩენილი კუთხე, განუვითარებელი მცხოვრებლებით კი თითქმის ყოველთვის თანამედროვე იდეების ნაცვლათ რომელიმე საშუალო საუკუნოების ნაშთს ებღაუჭება და თავის ბედს მას უკავშირებს. ასეთია ხშირად საქციელი აჭარა-ქობულეთის მცხოვრებლების.

მათ ჯერ არა თუ ვერ მიუღწევიათ თანამედროვე სახელმწიფოს იდეამდე, არამედ ვერ განთავისუფლებულან საშუალო საუკუნის სარწმუნოებრივ გიპნოზიდან.

მათთვის დღემდე ერი, სარწმუნოება სახელმწიფო—თითქმის ერთი და იგივე ცნებაა—და ამათში პრიმატი სარწმუნოებას აქვს დათმობილი.

საუკუნოებრივი ბრძოლის შედეგები ამ მხრივ ღრმათ აღბეჭდილა მათ გულში და გამუსულმანებული აჭარა—თავს ოსმალოთ გრძნობს. აი ამ ჩამორჩენილობაშია ტრაგედია ბათომის ოლქის.

მისი ეკონომიური, კულტურული, ისტორიული განვითარების გზები—საქართველოსთან არის გადაჯაჭვული: ნათლათ დგას მის წინაშე დილემა: ან საქართველოსთან წარმატების გზაზე სიარული, ან ოსმალეთთან ბარბაროსობისაკენ.

და იგი არა ერთხელ რჩეობს უკანასკნელს. მაგრამ თანამედროვე აჭარის სინამდვილემ წარმოშვა სხვა ტიპიც თავის წიაღში, ესაა ეროვნულათ და კულტურულათ დაწინაურებული ნაწილი აჭარლების.

ეს უკანასკნელნი უკვე გრძნობენ თავის ისტორიულ წინმსვლელობის აუცილებელ კავშირს დანარჩენ საქართველოსთან.

და ამ ნაციონალურ მომენტში ხედავენ საშუალებას ძველი ტრადიციის გადატეხისა.

ეს დიდი რევოლიუციური მუშაობაა. ეს ის მუშაობაა, რომელიც მთელ სომუსლიმანო ქვეყნებში სწარმოებს. ეს გაგრძელებაა იმ ბრძოლის, რომელსაც ყველგან აქვს ადგილი, სადაც ისლამის რჯული ბატონობს.

ეროვნება, თუ სარწმუნოება? ასეთია ახლო აღმოსავლეთის საბრძოლი ამოცანა, და ამ მხრით მრავალი ერები. არაბები და სხვები შედგენ პირველ, რევოლიუციურ გზაზე, ხოლო ოსმალები შერჩენ ძველს, კონსერვატიულს. ამ უკანასკნელის გამოხატულებაა ქემალ ფაშა და მისი ლაშქარი.

ხოლო მათ პირდაპირ დგას ის წრე, რომელიც სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლებისთვის იღვწოდა, და მის გაეროვნებას ემსახურება დღეს.

ჩვენ უნდა გადაჭრით აღვიაროთ, რომ ბათომის ოლქში სოციალური საკითხი, ე. ი. აგრარული და სხვა არ დგას ისე მწვავეთ, როგორც ეროვნული, სარწმუნოებრივი. მაგრამ იგიც დაკავშირებულია ამ უკანასკნელთან.

სარწმუნოების მიხედვით დარაზმვა ნიშნავს იმავე დროს სოციალურ რეფორმების შესაძლებლობის მოსპობას. ეროვნულ მომენტის მიხედვით შეკავშირება კი ნიშნავს დანარჩენ საქართველოსთან ერთად ახალ ცხოვრების ზიარებას. და მაშასადამე ყველა იმ თავისუფლების და რეფორმების შესაძლებლობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენში. და რომელსაც შედეგათ მოჰყვა ხალხის ბატონობა—თვითმმართველობის განმტკიცება, საკუთარი ძალით თავის მოვლა.

ჩვენი მართველობა ბათომის ოლქში, რომლის დღევანდელი ფორმები უეჭველათ დროებითია, უნდა გამსჭვალული იყოს ამ შეგნებით. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ დღევანდელი კომისრები აუცილებლათ შეცვლილ უნდა იქნენ ადრე თუ გვიან ადგილობრივ არჩეული სანდო პირებით.

მაშასადამე დღესვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი ასეთ შესაძლებლობის განხორციელებას. დღესვე უნდა შემზადდეს ელემენტები, და გაძლიერდეს ის წრეები, რომელნიც გახდებიან ხალხის ნდობით და არჩევით მართველნი ბათომის ოლქის.

მცირე, მაგრამ მნიშვნელობას არა მოკლებული ჯგუფი ასეთი პირებისა დღესაც არსებობს—აჭარაში. და ეს ძალები უნდა ჩაბმულ იქნენ საქმეში დღესვე.

ჩვენ ვიცით, რომ სწორეთ ამ წრეებში არსებობს სურვილი დაუყონებლივ თავის სრული მეთაურობის დამყარებისა, რაც, რასაკვირველია, შეუძლებელია. და ამ მისწრაფებების განუხორციელებლობა არის უმთავრესი მიზეზი იმის, რომ იგინი ერთი შეხედვით ჩამოშორდენ ჩვენი მთავრობის რწმუნებულის პოლიტიკურ ხაზს, ვერ შეეგუენ მას. მათ ვერ გაიყვეს მასთან მართველობის სიმძიმე, არ მიიღეს ნაწილობრივი მონაწილეობის პრინციპი.

ეს მათი მხრივ იყო დიდი შეცდომა და პირდაპირ დამღუპველი ნაბიჯი. და ჩვენ გვინდა, რომ ამიერიდან ამას ადგილი არ ექნეს, რომ ამიერიდან მაინც გალხვება გაუგებრობის ყინული, და განხორციელდება სრული სოლიდარული თანამშრომლობა მთავრობის და ადგილობრივ მოწინავე ელემენტების.

დიდი დამსახურება იმ პირების, რომელთაც დასდეს ღვაწლი სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლების, შეიძლება დაგვირგვინდეს მხოლოდ თანამშრომლების ასეთი თანდათანობითი და სისტემატიური განხორციელებით.

ჩვენ ვიცით იმათი რიცხვი, ვინც წარსულის კონსერვატიზმით სულდგმულობს და თავის ინტერესების გაუგებრობით ისევ სამხრეთისაკენ იცქირება, ჯერ კიდევ საგრძნობია. მაგრამ ისტორიულათ მათი ბედი განწირულია. ცხოვრების ჩარხს უკან ისინი ვერ დააბრუნებენ. გამარჯვება ეკუთვნის იმ ჯგუფს, რომელიც კულტურის და პროგრესის უკვდავ ნაკადულს ეწაფება. ბათომს აქვს ამ ჟამათ საკმაოთ მოწყობილი აპარატი მართველობის, აქვს წესრიგი, ყავს პატრონი, ესაჭიროება სამზადისი—მომავალი თვითმმართველი წყობილებისათვის და კულტურული ამაღლებაზე გაათკეცებული მზრუნველობა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იგი ამასაც ისეთი სისწრაფით მიაღწევს თავის მკვირცხლი ბუნების მეოხებით, როგორც საქართველოსთან შემოერთებას მიაღწია.

პ რ ე ს ა.

„ახალი სხივის“ უკანასკნელი ნომერი ერთავად ჩვენს წინაალმდეგ არის მომართული. ის ცდილობს უარყოს ამხ. დევდარიანის წერილები „ახალი სხივის“ შესახებ, ის კიდეც ჯავრობს ამისთვის, რომ ამხ. დევდარიანმა მათ ოპოზიციას „ტრავლია“ უწოდა. მარა იმავე ნომერში მრავალია ისეთი ადგილები, რომელიც ყოველ გვარ „ტრავლიაზე“ უარესია. სანიმუშოთ საკმარისია შემდეგი ადგილები თუ გინდ ქლარას წერილიდან:

„18 წელიწადია ს. დ. პარტიაში ვმუშაობ—სწერს ქლარა—წრფელის გულით და ბედნიერი ვიყავი მანამდე, სანამ ჩვენი ძველი ხელმძღვანელების დღევანდელ საქმიანობას არ გავეცანი. დღეს კი წინაალმდეგს ვხედავ: **მუშათა კლასმა თავის ბრძოლით და სისხლით მხოლოდ რამდენიმე ძველი ამხანაგისათვის მოიპოვა უზრუნველ ყოფილი ცხოვრება და მეტი არაფერი**“. (ხაზი ჩვენია).

ცოტა ქვევით კიდევ:

„საერთოდ უმაღლესი მოსამსახურეებისათვის ყველაფერი დაუზოგველია—ჯამაგირი, ბინა, სანოვაგე, ჩაცმა, ავტომობილ-ფაეტონებიც დროს სატარებლათ. მუშებისათვის კი არც ერთი რამ, რომელიც ოდნავ შეუმსუბუქებს ტანჯულ ცხოვრებას—(№ 28).

ვეკითხებით „ახალ სხივს“—რა არის ეს—„ტრავლია“ თუ კიდევ უარესი? ჩვენ ვამტკიცებთ, რომ არც ერთი ჩვენი მოწინაალმდეგე არ წასულა ამაზე შორს.

ამას ეძახის „ახალი სხივი“ კრიტიკას, ასეთი კრიტიკა მიაჩნია მას სასარგებლოთ, და რაკი ასეა, რა გასაკვირია, თუ ის არც ამხ. დევდარიანს ეთანხმება ოპოზიციის როლის მნიშვნელობის შესახებ და არც „იმ კრიტიკითაა კმაყოფილი, რომელსაც ამხ. განი ეწევა.“

პრინციპიალურია თუ პირადული ჩვენი ოპოზიცია—ამას პარტიული მკითხველი თვითონ დააფასებსო—ამბობს „ახალი სხივი“ მეორე ადგილას.

დიახ, პარტიული მკითხველი წაიკითხავს რაც ჩვენ მოვიყვანეთ და შესაფერათაც დააფასებს...

ინტერნაციონალის აღდგენა

უკანასკნელმა მსოფლიო ომმა მთელი კაცობრიობა საშინელ ეკონომიკურ და პოლიტიკური კრიზის წინაშე დააყენა. წლობით და საუკუნოებით ადამიანთა მიერ შექმნილი სიმდიდრე, აურაცხელი რიცხვი ტეხნიკისა და საწარმოო ძალისა განადგურებულია. ომმა შთანთქა მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე. ერი ერს გადაჰკიდა, სახელმწიფო სახელმწიფოს დააშორა, ყველგან ქიშპობა და სიძულვილი გაბატონა.

ამ ომმა დაანგრია ყველა ქვეყნების მუშათა კლასის მთლიანობის და სოლიდარული მოქმედების ორგანო—ინტერნაციონალი. ინტერნაციონალი სუსტი გამოდგა, რომ ომისათვის ხელი შეეშალა და შეეჩერებია იგი. მუშათა კლასი ჩათრეულ იქნა ომში და ერთი ქვეყნის მუშებმა მეორე ქვეყნის მუშებს დაუწყეს ჟლეტა. კიდევ ომის დროს ევროპის მუშათა წრეებში გაისმა ხმები ომის შეწყვეტის და მუშათა კლასის სოლიდარულ მოქმედების შესახებ. მაგრამ ომი მაინც გაგრძელდა, ევროპის მუშათა კლასმა ვერ შესძლო ერთსულოვანათ მოქმედება.

ომი გათავდა ვითომ; ეხლა შეეცადენ, რომ სხვადასხვა ქვეყნების მუშებს გაეწოდათ ხელი ერთმანეთისათვის და ერთად ემოქმედნათ. მაგრამ ომისაგან გამოწვეული განსხვავება და განხეთქილება ისე დიდი იყო მათ შორის, რომ ეს ცდაც ჯერ-ჯერობით უნაყოფო დარჩა.

1919 წლის განმავლობაში სამჯერ იყო მოწყობილი ევროპის სოციალისტურ პარტიების კონფერენციები (ბერნში, ამსტერდამში, ლიუცერნში), მაგრამ აქედგან დიდი არაფერი გამოვიდა. ხან ამ კონფერენციებზე ზოგი ქვეყნის ჯგუფები თუ სექციები მხოლოდ მიტომ მიდიოდნენ, რომ იქ მოწინააღმდეგეთ შეხვედროდათ და მათთვის საყვედურები ეთქვათ. ომის პასუხისმგებლობა, ბურჟუაზიულ მთავრობებში სოციალისტების მონაწილეობის მიღება, თავდაცვა—აი სამი უმთავრესი საკითხები, რომლებიც იწვევდენ უთანხმოებას. საჭირო იყო, რომ ყველანი გამსჭვალული ყოფილიყვნენ ევროპის მუშათა მოძრაობის გაერთიანების აუცილებლობის იდეით და უპირველეს ყოვლისა ამ გაერთიანებაზე, ამ მთლიანობაზე ეზრუნათ. ამავე დროს შესაძლებელი და აუცილებელი იყო, რომ ომის დროს ჩადენილი დიდი შეცდომები ზოგი სექციებისა აღნიშნულ იყო, სათანადოთ დაფასებულიყო და მათი მომავალში განმეორება თავიდან აცილებული ყოფილიყო. და თუ ყველა ამ საკითხების გარკვევა-დაფასების დროს აღმოჩნდებოდნენ ინტერნაციონალში ისეთი პირები, რომლების აქ დარჩენა მუშათა კლასისათვის მავნებელი და საზარალო იქნებოდა, მაშინ მათი ინტერნაციონალიდან გაძევება აუცილებელი იქნებოდა. შეერთებული აზრით, შეერთებული ძალით და მოქმედებით ძლიერ გაადვილდებოდა მართლა მავნე პირთა თავიდან მოცილება.

მაგრამ სამწუხაროთ ეს ასე არ მოხდა. სანამ ომიდან დაშლილ ინტერნაციონალს თავს მოუყრიდნენ, სანამ სადავო საკითხებზე მოილაპარაკებდნენ და საერთო აზრს გამოიმუშავებდნენ, ზოგი ქვეყნის სოციალისტურმა პარტიებმა წინდაწინ გადასწყვიტეს, რომ მათ მეორე ინტერნაციონალში მუშაობა არ შეეძლოთ და გავიდნენ იქიდან. ისინი მეორე ინტერნაციონალს უმოქმედობას უჩიოდნენ. ეს სრული სიმართლე იყო და სწორეთ ამიტომ იყო საჭირო იქ მეტი მოქმედების, აქტივობის და უნარის გამოჩენა. ამისათვის კი საჭირო იყო იქ დარჩენა და მუშაობა და არა განზე გადგომა და მით მდგომარეობის უფრო გაუარესება.

ეს პარტიები გავიდნენ მეორე ინტერნაციონალიდან, მაგრამ არც მესამე—ბოლშევიკურ ინტერნაციონალს შეუერთდენ. ისინი ამბობდნენ, რომ ორ არსებულ ინტერნაციონალთა შორის არსებობს დიდი აზრთა სხვადასხვაობა, და ჩვენ არ ვართ კმაყოფილი არც ერთით და არც მეორეთიო. ჩვენ შევეცდებით ამ ორმა მოწინაალმდეგემ დაბოლოს ჩვენსკენ გადმოიხაროს და ამნაირათ ჩვენ შევქმნათ ფუძე განახლებული ინტერნაციონალისაო. თავის თავს ისინი „რეკონსტრუქტორებს“ უწოდებენ.

ბოლშევიკებთან მოლაპარაკების დროს, „რეკონსტრუქტორებმა“ ნათლად დაინახეს, რომ ბოლშევიკები სექტანტურ პოლიტიკას ადგიან და ვინც მათ პოლიტიკას მთლიანად არ იზიარებს, მას ისინი თავის მტრათ სთვლიან. დღეს გერმანიაში ამ „რეკონსტრუქტორებს“ და ბოლშევიკების თანამგრძნობთა შორის სასტიკი ბრძოლა და წინაალმდეგობაა. ერთი ნაწილი „რეკონსტრუქტორებისა“ ეთიშება მათ და უერთდება ბოლშევიკებს. ამნაირათ „რეკონსტრუქტორების“ აზრი, რომ ისინი შესძლებდნენ ბოლშევიკებთან საერთო ენის გამონახვას, არ გამართლდა და მათ საკუთარ წრეებში განხეთქილება ხდება. ინტერნაციონალის გაერთიანების მაგივრათ, მუშათა პარტიები ევროპაში დღეს კიდევ უფრო დაიყვნენ და დაქუცმაცდენ.

ყოვლად შეუძლებელია, რომ რუსეთის ბოლშევიზმის დიქტატურას დაბოლოს დაემორჩილოს რამე თვალსაჩინო ძალა ევროპის მუშათა კლასისა. ევროპის მუშათა კლასს აქვს თავისი კულტურა, გამოცდილება, ერთნაირი თავისებური სკოლა, ორგანიზაციული შენობა. წარმოუდგენელია, რომ რუსეთის ამ ყოველი მხრივ ჩამორჩენილ ქვეყნის ხალხზე გაბატონებულ ერთ პოლიტიკურ პარტიის დირექტივებს ხანგრძლივათ გაჰყვეს ვინმე. თუ დღეს ბოლშევიკები ევროპაში აქა-იქ ჰპოვებენ თანამგრძნობთ, გავა დრო, მათ გაიცნობენ უფრო კარგათ იქ და ამ გავლენასაც დაჰკარგავენ. ბოლშევიზმი ვერასოდეს ვერ შეაკავშირებს და ვერ გაერთიანებს მუშათა კლასს, რადგანაც ის თავისი მოქმედებით და აზრით ყოველგან გათიშვისაკენ და რღვევისაკენ მოუწოდებს მუშათა ორგანიზაციებს, მისი „ინტერნაციონალი“ არასოდეს არ იქნება ევროპის მუშათა კლასის ინტერნაციონალი. მას შეუძლია იყოს დაბოლოს მხოლოდ რუსეთის ბოლშევიკების და ევროპის ზოგი უმნიშვნელო ჯგუფების ორგანიზაცია.

რამდენადაც რუსეთის ბოლშევიკები და მათი თანამგრძნობი ჯგუფები შეეცდებიან ევროპის მუშათა კლასს რუსული მეთოდები მოახვიონ თავზე, იმდენათ ევროპის მუშათა კლასის ყველა ანტი-ბოლშევიკური და საღი ელემენტები ამ ცდას გზაზე გადაეღობებიან და სოლიდარობის და მთლიანობის საჭიროებას იგრძნობენ. ამას აუცილებლათ მოჰყვება შედეგათ ის, რომ მეორე ინტერნაციონალში დარჩენილ პარტიებს „რეკონსტრუქტორების“ ერთ ნაწილს შორის დაახლოვება გაადვილდება. საჭიროა მხოლოდ, რომ გაერთიანების იდეას შეეწიროს ჯგუფური კინკლაობა და ამ იდეის განხორციელებისათვის ერთი მეორეს დაუთმონენ ბევრ რამეში.

ინტერნაციონალის გაერთიანების და აღდგენის საკითხში დიდ როლს თამაშობენ ეხლა და უეჭველია კიდევ უფრო მეტს ითამაშებენ მომავალში პროფესიონალური კავშირები. კაპპის coup d'état-ის დროს გერმანიაში გერმანიის სოციალ-დემოკრატია დაყოფილი იყო რამდენიმე ნაწილათ რომლებიც ერთმანეთს ებრძოდენ. მხოლოდ, პროფესიონალურმა კავშირებმა შესძლეს ყველა ამ ნაწილთა წესრიგისაკენ მოწოდება, მთელი გერმანიის მუშათა კლასის საშიშროების წინაშე გაერთიანება და გერმანიაში კონტრ-რევოლიუციის თავიდგან აცილება, ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიაში თუ სადმე სხვაგან მუშათა მთლიანობის იდეას და პრაქტიკას პროფ. კავშ. უფრო იცავენ. ამით კი ისინი ინტერნაციონალს გაცილებით მეტს სამსახურს უწევენ, ვიდრე პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან და მუშათა კლასის ძალას ქსაქსავენ. ამ მხრივ ამსტერდამის მომავალ ინტერნაციონალურ პროფესიონალური კავშირების კონგრესს ექნება უდიდესი მნიშვნელობა ევროპის მუშათა კლასის მოძრაობის გაჯანსაღებისათვის.

წინეთ ინტერნაციონალში ხელმძღვანელობდა ორგანიზაციულათ უძლიერესი და მთლიანი გერმანიის სოციალ-დემოკრატია. ომის დროს ეს მთლიანობა და სიძლიერე დაირღვა და თან ომის და რევოლიუციის დროს ჩადენილ შეცდომების გამო გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ დაჰკარგა ეს გავლენა და ჰეგემონია ინტერნაციონალში.

დღეს უძლიერეს ძალას თავის მთლიანობით და ორგანიზაციით ევროპაში წარმოადგენს ინგლისის მუშათა კლასი. თუ წინეთ ინგლისის მუშათა კლასში არ იყო ძლიერი სოციალისტური შეგნება და პოლიტიკურ ასპარეზზე ის ხშირათ ლიბერალიზმს უჭერდა მხარს, ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში აქ მოხდა უდიდესი ცვლილებანი: ინგლისის მუშათა კლასი პოლიტიკურათ ჩამოყალიბდა და სოციალისტურმა შეგნებამ მასში ღრმათ გაიდგა ფესვები. დღეს ინგლისის მუშათა კლასის მოძრაობას შესცქერის მთელი ქვეყანა და აქედგან მოელიან პირველ ნამდვილ სიტყვას. მიტომაც იყო, რომ როცა ჟენევის ინტერნაციონალურ სოციალისტურ კონგრესზე ამ წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში კითხვა დაისვა ინტერნაციონალის გაერთიანების და აღდგენის შესახებ, ყველამ ერთხმად ამ საქმის მოგვარება და ამისათვის სათანადო ინიციატივის თავის თავზე აღება მიანდო ინგლისელ სექციას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ინგლისის ძლიერ ორგანიზაციას ამ საქმეში ყველა გაუწევს ანგარიშს და საჭირო ყურადღებით მოეპყრობა. აღდგენილ და გაერთიანებულ ინტერნაციონალში ინგლისის მუშათა კლასი უთუოთ დაიჭერს უპირველეს ადგილს.

ქ. გვარჯალაძე.

დამფუძნებელი კრება

არა-ჩვეულებრივი სხდომა.

მთავრობის განცხადების შემდეგ სიტყვას ამბობს სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ამხ. ა. ჩხენკელი.

[illegible]

მოქალაქენო, მთავრობის წარმომადგენლის მიერ ცნობად მოყვანილი ამბავი, რომელიც ხდება ჩვენს სამხრეთით სომხეთში, მართლაც იყო ღირსი იმისი, რომ ჩვენ აქ შევკრებილიყავით და გვეთქვა ჩვენი სიტყვა. მე ვფიქრობ, ჩვენ ყველანი ერთად, როგორც აქ ისე ჩვენი ხალხი, რომელმაც ჩვენ აქ წარმოგვგზავნა, გამოვსთქვამთ ღრმა აღშფოთებას და გულისწყრომას იმათ მიმართ, ვინც თავს ესხმის და განადგურებით ემუქრება ჩვენს მეზობელ სომხეთს. ამ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში დამოუკიდებლობის საქმისათვის სომხის ერისკენაა მთელი ჩვენი თანაგრძნობა. დამოუკიდებელ სომხეთის დემოკრატ. რესპუბლიკაზედ თავდასხმა დაუშვებელი არის საერთაშორისო თვალსაზრისით. იგი დაუშვებელია აგრეთვე ჩვენი ეროვნული თვალთსაზრისითაც, ვინაიდან, უეჭველია ის, რაც იქ მოხდა, იქონიებს თავის შედეგებს აქაც.

ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ თქვენი ყურადღება. ოსმალეთის ფაშებს, რომ არც არაფერი დავიწყებიათ და არც არაფერი უსწავლიათ ამ 6 წლის განმავლობაში, მე ეს არ მაკვირვებს, არც ის მაკვირვებს, რომ დამარცხებული სამხრეთით და დასავლეთით, ეხლა ფიქრობენ ეს ფაშები ამ ზარალის ანაზღაურებას ჩრდილოეთით, მე მიკვირს მხოლოთ როლი მათი მოკავშირისა—საბჭოთა რუსეთისა, რა უნდა დაუძახოთ იმ როლს, რომელსაც თამაშობს საბჭოთა რუსეთი ამ ტრაგედიაში? თუ რუსეთის დღევანდელი მთავრობა მუდამ გაიძახოდა, რომ ის არის მომხრე ერის თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობისა, რომ ის არის მებაირახტრე მსოფლიო მშრომელი მასსისა, რომ ის არის განმახორციელებელი იმ იდეალებისა, რომელიც თითქოს საერთო იყო ერთ დროს ჩვენსა და მის შორის,—რას ვხედავთ ჩვენ დღეს? განა ყველა ის, რასაც ჩვენ ვხედავთ დღეს სომხეთში, არ არის უარყოფა ყველა ამ პრინციპებისა, ამ იდეალებისა? განა ის როლი, რომელიც უკისრნია საბჭოთა რუსეთს სომხეთის მიმართ, არ არის პირდაპირ სამარცხვინო, მე შემეძლო მეთქვა, პირდაპირ დაუჯერებელი? განა მას შეუძლიან კიდევ სთქვას ევროპის მშრომელ მასის წინაშე, რომ ის არის ერის თავისუფლების, მაღალ იდეალების მატარებელი? არ შეუძლიან და ვერც შესძლებს. ჩვენ მოვისმინეთ აქ უკვე განცხადება მთავრობისა იმის შესახებ, რომ მოსკოვის ბოლშევიკები, ასე ვთქვათ ხელშეუხებლად სთვლიან იმ ხელშეკრულებას, რომელიც ჩვენ მათთან დავდევით, ეს მათ განაცხადეს სიტყვიერათ, გარანტიის მოუცემლათ. ამაზე შეჩერებას მე საჭიროთ არა ვთვლი. მე ვუთითებ მხოლოდ იმ საშინელებაზე, რო-

დღეს

სომხეთის ჯარების ზურგს უკან მუსულმან მცხოვრებთა აჯანყებით შექმნილ მდგომარეობის გამო სომხეთის მთავრობამ თანხმობა გამოაცხადა თურქებთან სამხედრო მოქმედების შეწყვეტაზე. სამხედრო მოქმედება შეწყდა 7 ნოემბერს.

გაზ. „ვოლნი გორეცის“ ცნობით საბოლოოდ იწვევენ ჩრდილო კავკასიიდან ორჯონიკიძეს და ბუდუ მდივანს, ბაქოდან გაწვეულია ლომინაძე. გადაწყვეტილია კავკასიას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამ მიზნით გზავნიან კავკასიაში ჯუღაშვილს-სტალინს, ზინოვიევსა და სტასოვას.

უნგრეთის ეროვნულმა ყრილობამ გადასწყვიტა მონარქიული მართვა გამგეობის შემოღება.

შარლეროაში მემალაროებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

პოლონეთის და ლატვიის შორის საიდუმლო ხელშეკრულება დაიდო ლიტვის გაყოფის შესახებ.

გერმანიის მთავრობამ ნება დართო საბჭოთა რუსეთში უბრალო წერილების გადაგზავნისა.

ჩიჩერინმა მეორეჯერ განუცხადა პროტესტი ლატვიის მთავრობამ იმის გამო, რომ ლატვიის ტერიტორიაზე ვრანგელის თეთრგვარდიელთა მობილიზაცია სწარმოებს.

მელიც სომხეთში ხდება, აქედან თქვენ შეიძლებით შესაფერ დასკვნის გამოყვანას იმის შესახებ, თუ რას უნდა ველოდეთ ჩვენ მომავალში. თქვენ იცით, სომხის სამხედრო ძალები არ იყო თავისუფალი სავსებით, მას არ შეეძლო მთელი თავისი ძალებით შეხვედროდა იმ საფრთხეს რომელიც მოევლინა მას. ის იყო ერთი ფეხით დაბორკილი, არ იდგა ორივე ფეხზე და ამის მიზეზი კი საბჭოთა რუსეთი იყო, რომელიც აზერბეიჯანიდან ემუქრებოდა სომხეთს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ სომხის ერი გამარჯვებული გამოვა ამ განსაცდელისაგან. სომხის ერს არა ერთხელ უნახავს თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში ასეთი საფრთხე, ასეთი განსაცდელი და მე ვფიქრობ, ის ამ განსაცდელსაც დასძლევს თავის საბედნიეროთ და ჩვენ საკეთილდღეოთ (ჟრიამული: მართალია. (ტაში).

მოქალაქენო, სრულიად უეჭველია ჩვენთვის ის, რომ საფრთხე სომხეთისათვის სამხრეთით, არის საფრთხე ჩვენთვისაც, ვინაიდან ჩვენ გვაქვს საქმე იმავე პირებთან, იმავე წრეებთან, რომელნიც მოქმედებდენ, როგორც იყო აქ ნათქვამი 1918 წ. განსხვავება, რა თქმა უნდა, დიდი 1918 და 1920 წ. შორის, მაშინ სულ სხვა იყო მდგომარეობა, ეხლა სულ სხვაა, მაგრამ ჩვენ რომ არ დაგვინდობს იგივე მტერი, ამაში ეჭვი არ გვქონია არას დროს: არც მაშინ, როდესაც ყარსი არ იყო აღებული და არც მაშინ, როდესაც მტერმა სულ პირველათ გადალახა სომხეთის საზღვრები. ეს გათვალისწინებული გვაქვს ჩვენ და, რა თქმა უნდა, შევხვდებით ამ საფრთხეს ღირსეულად. ჩვენი ძველი ისტორია მუდამ ბრძოლაში ტარდებოდა სწორედ დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლებისათვის, მაგრამ ჩვენ გვაქვს ჩვენი ახალი ისტორიაც, ამ სამი წლის ისტორია, და, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ქართველი ჯარი სამი წლის ბრძოლის შემდეგ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ვისმეს იაფათ დაუჯდეს თავის თავზე თავდასხმას, ის, რასაკვირველია, შემცდარი იქნება, ეს თავისთავად მისახვედრია, ბუნებრივია. თუ გინ- [illegible] ერთით განირჩევა ჩვენგან: ქემალ-ფაშას არაფერი აქვს დასაკარგავი, ჩვენ კი ყველაფერს დავკარგავთ, ეს მართალიც დამარცხებული, ყოველ მხრით დევნილი ფაშა და მისი სამხედრო წრე ეძებენ გამოსავალს. რა თქმა უნდა, ისინი ეძებენ გამოსავალს აქაც, სხვაგანაც, მაგრამ იმაზე უარესი, რაც ოსმალეთს და ენვერისტებს მოუვიდათ, მათ აწი არაფერი დაემართებათ. მაგრამ, ჩვენ რომ სისუსტე გამოვიჩინოთ, მოუმზადებლობა ამ მომენტისათვის, ჩვენ დავკარგავთ ყველაფერს, დავკარგავთ ჩვენს დამოუკიდებლობას, თავისუფლებას და ჩვენი რევოლიუციის მონაპოვართ, განა შესაძლებელია დაუშვათ ასეთი მდგომარეობა, რომ ჩვენი ხალხი ვისმეს ნებას მისცემს, რომ შეეხონ მის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას? ეს შეუძლებელია,—არა ბუნებრივია.

ქემალ-ფაშა და მისი დამქაშები, რასაკვირველია, მიზნათ იღებენ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს სამაჰმადიანო საქართველოს, იქითკენ აქვთ მათ თვალი,—ჩვენ ეს კარგათ ვიცით. ჩვენ ვიცით კარგათ ისიც, რომ ჩვენს სამაჰმადიანო საქართველოში არიან აგენტები, მისგან მოგზავნილნი, რომელნიც ავრცელებენ მის მიერ გამოცემულ პროკლამაციებს, რომელთაც ჩვენ ვკითხულობთ პრესსაშიც. ეს აშკარაა ყველასათვის, აქ დასამალავი არაფერია, მაგრამ ისიც ვიცით, რომ მას, ქემალ-ფაშას, სამაჰმადიანო საქართველოში არ შეუძლია შესვლა, იქ არ შეხვდება მას გამოძახილი, რადგანაც ხალხს აქვს მწარე ექვსი წლის გამოცდილება. მე ვიყავი სწორეთ გასულ სექტემბერს იმ კუთხეებში, რომელმაც გამოსცადა ომიანობის მთელი საშინელება: ლტოლვა წანწალი, აწიოკება, ელეტა. მე ვხედავდი იმ ხალხს, მშრომელ ხალხს, ქალებს, მამაკაცებს, მოხუცებს, რომელნიც ბრუნდებოდნენ ოსმალეთიდან და ამბობდნენ, რომ, ჩვენ გაჭირვებული ვყავით ოსმალეთში ჩვენ არ გვედგომებოდა იქ, ყველაფერი აფორიაქებული არის იქ, ჩვენ არ გვქონდა არავითარი უფლება, ჩვენ არ გვქონდა ნივთიერი საშუალება, რომ გვეცხოვრა, ჩვენ გავხდით მონა და ყმა იმ გაბატონებულ წრეებისა, რომელნიც დღეს სამხრეთით მოიწევიან... და სწორეთ ამიტომ ვბრუნდებით აქეთ, სამშობლოში, რომ ჩვენი გამქრალი კერა ისევ ავანთოთ და შევუდგეთ მშვიდობიან ცხოვრებას.

ისინი ამბობდნენ: ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ აქ, საქართველოში. მე ერთი ფაქტი მინდა დაგისახელოთ. ეს არის ის, რომ ქართველი მაჰმადიანები, რომელნიც 1914 წელს გაძევებულ იქნენ სამაჰმადიანო საქართველოდან, არ დაბრუნებულნ არც ოსმალეთის და არც ინგლისის ბატონობის დროს და დაბრუნდენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ბათომის მხარე საქართველოს შემოუერთდა. ეს ღირს-შესანიშნავი ფაქტია და მაჩვენებელი იმისა, რომ ისინი უფრო მეტის ნდობით უცქერიან დედა-საქართველოს მომავალს, ვიდრე თვით ოსმალეთისა.

მე მწუხარება უნდა გამოვთქვა იმის შესახებ, რომ აქ, დამფუძნებელ კრებაში, სამაჰმადიანო საქართველოს წარმომადგენლობა არა გვყავს. თქვენ იცით, რომ ვერც კი მოვასწარით, რომ მიგვეცა მათთვის, ჩვენი ძმებისათვის საშუალება თავისი წარმომადგენლები ყოლოდათ აქ, თორემ ჩვენ არც კი დაგვჭირდებოდა მათ მაგიერ ლაპარაკი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი აქ იმავ ენით ილაპარაკებდნენ, როგორც ჩვენ. მიზეზი ამისა არის ის, რომ ჩვენ ჯერ ვერ მივიღეთ მთელი რესპუბლიკის კონსტიტუცია და ამიტომ არ არსებობს კანონი, რომლის ძალით მაჰმადიანი ქართველები აირჩევენ დეპუტატებს საქართველოს პარლამენტში, უზენაეს ნების ყოფის გამომხატველში როგორც საქრისტიანო, ისე სამაჰმადიანო საქართველოსა. ჩვენ ისიც კი ვერ მოვასწარით, რომ მიგვეღო დებულება, რომელშიაც უნდა ჩამოესხას წესი ბათომის მხარის ავტონომიურ მმართველობისა. დეკლარატიულად ჩვენ ეს არა ერთხელ ვთქვით ამ ტრიბუნიდან, მხოლოდ კანონით ჯერ არ გაგვიტარებია. თქვენ იცით, რომ ეს საკითხი ჩვენ დღის წესრიგში სდგას, როცა ჩვენ ნორმალურ მუშაობას დავიწყებთ, შევუდგებით კონსტიტუციის პროექტის და აგრეთვე ბათომის მხარის დებულების განხილვას არ ვიცი, შეიძლება ობიექტიურმა პირობებმა, გარეშე საფრთხემ შეგვიშალოს ხელი, მაგრამ ჩვენ მაინც ვიმედოვნებთ, რომ ყოველგვარ დაბრკოლებებს ვსძლევთ.

მოქალაქენო! ჩვენ, მართალია, საფრთხის წინაშე ვდგევართ, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მზად ვართ, რომ შევხვდეთ სრულიად შეუდრეკლად ამ საფრთხეს, ვინაიდან ამის ძალაც მოეპოება ჩვენს სახელმწიფოს, რომელიც არსებობს რამოდენიმე წელია და რომელსაც აქვს ყველა თავისი ორგანოები როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, პროვინციაში. რასაკვირველია, იგი შესძლებს შეაგროვოს, შეკრიბოს და დარაზმოს მთელი ხალხი თავის-თავის დასაცავად. ჩვენ, მაგ. არ გვაქვს საშუალება და აქამდეც არ გვქონდა, რომ ჩვენი შინაური ცხოვრება მოგვეწყო ისე, რომ ნაკლი არ ქონდეს. ჩვენ ეკონომიურ შევიწროებას განვიცდით, ჩვენი სახელმწიფოს ორგანიზაცია, ტეხნიკა ჯერ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული. ჩვენ გვქონდა არა ერთხელ ამის შესახებ თქმული და როდესაც დამფუძნებელ კრების მუშაობა შევაჩერეთ ამ ზაფხულის ბოლოს, ჩვენ, მოგეხსენებათ, მივიღეთ ფორმულა, სადაც ვამბობდით, რომ უნდა შევუდგეთ შინაურ ეკონომიურ მუშაობას, შევქმნათ ერთგვარი გეგმა, ორგანო. ამ ნიადაგზე განვაგრძობთ მუშაობას და სწორედ კონსტიტუციის შემდეგ უმთავრესი საგანი იყო ეს ჩვენი შინაური ეკონომიური მოუწყობლობის შევსება, წამლის გამონახვა, შედგენა გეგმისა და ამ გეგმით მუშაობა. მე იმედი მაქვს, რომ ამ მუშაობას შევსძლებთ. მართალია, ჩვენს მუშაობაში, სიმძიმის ცენტრი მუდამ გადადიოდა გარეშე პოლიტიკაში. ჩვენ გვაქვს მუდმივი ომიანობა, არ გვაქვს დროს შინაურ მუშაობას დამშვიდებულად შევუდგეთ, მაგრამ მაინც უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენ შინაურ საქმეებსაც მოვაწყობთ, თუ გინდ მოზღვავებულ მტრის წინ. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჯერ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი ჩვენი შინაური წყობილების განსამტკიცებლათ, მე ვფიქრობ და სრულ რწმენას გამოვთქვამ, რომ ჩვენი ხალხი, ერი იმდენად გაზრდილია პოლიტიკურად, იმდენად მაღლა დგას თანამედროვე მომენტის მიხედვით, რომ ის თავის მოვალეობას შეასრულებს პირნათლად და ამას უპირველეს ყოვლისა, შეასრულებს ის დამფუძნებელი კრება, რომელიც გამომხატველი არის მთელი ერის მთლიანობისა.

სწორედ მაშინ, როდესაც გარედან გვადგება საფრთხე, ჩვენ ერთნი ვართ განურჩევლად რწმენისა და ეროვნებისა. ეს სპეციფიური, დამახასიათებელი მხარე არის ერის კულტურისა. როცა ჩვენი ერის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას ხიფათი ელის, ჩვენ ერთნი ვართ იმიტომ, რომ ჩვენ კულტურული ერი ვართ და ამ ერს აქვს მტკიცე ნებისყოფა და ამის გამომხატველი არის ჩვენი შეიარაღებული ძალა—ჯარი და სახალხო გვარდია. და ვინც იცნობს, ვინც დაკვირვებია მათ მამაცობას, გმირობას, მას შეუძლიან სრული დამშვიდებით იყოს მომავლის შესახებ. ჩვენი მშრომელი მასა, ხალხი, დარწმუნებულია იმაში, რომ მას მხარში უდგას მთელი ქვეყნის, ევროპის დემოკრატია და დარწმუნებულია, რომ მის მხარეზე არის სიმართლე, და სამართლიანობა, რომ ის საშინელი საფრთხე, რომელიც მას მოელის, არის ბარბაროსული ხასიათის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ხალხი, მშრომელი მასა, როგორც გუშინ, ისე დღეს, დაიცავს თავის არსებობას, დამოუკიდებლობას.

ჩვენი დამოუკიდებლობა არის რევოლიუციური მონაპოვარი და მაშასადამე, ჩვენი თვით დაცვა რევოლიუციური თვით დაცვაა და ვინც იტყვის, რომ ჩვენი დემოკრატია შემოუშვებს ჩვენს ტერიტორიაზე უცხო ძალას (ვლ. მგელაძე,—არასოდეს!) და ჩვენ დროშას ძირს დახრის, ის ძალიან ცდება, ის კიდევ უფრო მაღლა ასწევს ამ დროშას (საერთო ტაში).

ნაციონალ-დემოკრატების სახელით სიტყვას ამბობს სპ. კედია.

სპ. კედიას სიტყვა

დამფუძნებელი კრების წევრნო! ჩვენ გარს გვარტყია შავი და წითელი მტრები. როგორი უნდა იყოს ასეთ შემთხვევაში ჩვენი ბრძოლა? ცხადია, ისეთივე, როგორიც წარსულში. ჩვენ უნდა მთლიანათ, ერთსულოვნათ დავირაზმოთ მტრის წინაშე. ჩვენი პოზიცია ის არის, რომ მთელი ჩვენი ჯანსაღი ძალები მიტანილი იქნეს სამშობლოს სამსხვერპლოზე. დღეს ჩვენ აქ გამოვდივართ პოლიტიკური საქმისათვის. ამ დროს საჭიროა და მიუცილებელი გადავხედოთ წარსულს, გავითვალისწინოთ იგი. აქ ჩვენთვის ერთი ნათელია უდაოთ; მთავრობის პოლიტიკურ ხაზში უთუოდ იყო დადებითი მხარე! ეს რომ არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენც არ ვიქნებოდით აქ. მაგრამ მთავრობის მოქმედებას წარსულში თან ახლავს ნაკლი და ეს უსათუოდ უნდა აღნიშნული იქნეს აქ. ჩვენს სახელოვან ჯარსა და გვარდიას მტრებთან ბრძოლაში მუდამ გამოუჩენია გმირული ენერგია და სიმტკიცე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შეიარაღებულ ძალთა ფეხზე დაყენება ყოველთვის მოგვიანებით ხდება. ამის შედეგი ის იყო, რომ პირველათ ჩვენ ვმარცხდებოდით, ხოლო როდესაც ჯარს ძალა მოუკრებია და შეტევაზე გადასულა, მტერი დაუმარცხებია,—მაშინ მთავრობა აჩერებდა მას. ყველაფერი ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს და შეცდომებიც უნდა გამოსწორდეს.

ჩვენ ყოველთვის მოგვიხერხებია მობილიზაციის გატარება, მოგვიწყვია საომარი აპარატი და ისევ დაგვიშლია ჩვენ დიდი ხანი არ არის, რაც დემობილიზაცია მოვახდინეთ. ეს იმიტომ რომ, არ გვქონდა პერსპექტივაში მოსალოდნელი საფრთხე. ამასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს ერთსულოვნობას და დიდ სიფრთხილეს. შესაძლებელია, რომ მტერთან ბრძოლაში სომხეთი დაეცეს. მაშინ ჩვენ მარტონი დავრჩებით და ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო საჭირო იქნება წარსულ ნამოქმედარის გადახედვა და ყოველგვარ ნაკლის გამოსწორება. საზოგადოებრივი აზრი პრესის თუ სხვა საშუალებით გამორკვეულია და მთავრობამაც ამას [illegible] გაუწიოს სათანადო ანგარიში. მთავრობის მიერ დღეს გაკეთებული მოხსენება არ არის სრული და მთლიანი. იგი, ასე ვთქვათ, მოხსენების ნახევარია. მან აქედან უნდა განაცხადოს, მოხსენებაში უნდა აღნიშნოს, რომ მოახდინა განახლება თავის მოქმედებაში.

შემდეგ ორატორი ეხება გაკვრით მთავრობის პოლიტიკას სამაჰმადიანო საქართველოში, აღნიშნავს ზოგიერთ საერთო ხასიათის შეცდომებს და ასკვნის, რომ საერთო საქმის საკეთილდღეოთ საჭიროა ამ ოლქის საქმეებს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

დაშნაკელების ფრაქციის სახელით სიტყვას ამბობს ტერ სტეფანიანი.

ტერ-სტეფანიანის სიტყვით შავი ღრუბლები ემუქრებიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს. სომხის დემოკრატია უკვე ხმალ ამოწვდილი იბრძვის ამ საფრთხის წინააღმდეგ. საფრთხე მოელის საქართველოს დემოკრატიასაც. სომხის დემოკრატიას უნდა გაეწიოს რეალური დახმარება. ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ, როგორც ლხინში, ისე ჭირშიაც. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა შესაფერ დახმარებას გაუწევს სომხეთს.

(დასასრული იქნება)

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ნოემბრის 8.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

სამხედრო ცნობა

მოსკოვი ნოემბრის 6. ოპერატიული ცნობა. სამხრეთის ფრონტზე მზვერავთა გაძლიერებული მოქმედებაა.

ჩიჩერინის პროტესტი

ჩიჩერინმა მეორეჯერ განუცხადა პროტესტი ლატვიის მთავრობას იმის გამო, რომ იგი აძლევს საშუალებას მოახდინონ ლატვიის ტერიტორიაზე ვრანგელის თეთრგვარდიელთა მობილიზაცია. საბჭოთა მთავრობამ შეიტყო, რომ შემეკლში გადმოსხდა 200 ოფიცერი, რომლებიც ვრანგელისაკენ მიემართებიან და რომ სავინკოვი თავის რაზმებს მხოლოდ ლატვიის ტერიტორიაზე ადგენს. საბჭოთა რუსეთის გარეშე საქმეთა კომისარი ლატვიის მთავრობისაგან მოითხოვს, რომ მიიღონ სათანადო ზომები აღნიშნულ მოვლენათა წინააღმდეგ.

დამოკიდებულების აღდგენა გერმანიასთან

პეტროგრადი ნოემ. 3. გერმანიის მთავრობამ ნება დართო რუსეთში უბრალო წერილების გადაგზავნისა.

მონარქია უნგრეთში.

უნგრეთის ეროვნულმა ყრილობამ მონარქიული მართვა გამგეობის შემოღება გადასწყვიტა.

ტანსაცმლის კრიზისი.

მოსკოვი. ტანსაცმლის კრიზისი ასეთი სათაურით დაიბეჭდა „პრავდაში“ წერილი. წერილში, სხვათა შორის, აღნიშნულია: ამ ჟამად ჩვენ მიზანს ფეხსაცმლის და ტანსაცმლის კრიზისთან ბრძოლა შეადგენს. წითელი ჯარი არ არის ჩაცმული, ჯარის-კაცებს არა აქვთ საშუალება გამოიცვალონ თეთრეულები. ეს არის მიზეზი სიბინძურისა, უკანასკნელი კი დედაა ყოველგვარ ავათმყოფობისა და ეპიდემიისა. წარსულ წელს ჩვენ დიდი ზარალი მოგვაყენა ტიფმა, რომელიც გადმოგვედო კოლჩაკის და დენიკინის უკან დახეულ ბანდებისაგან. ახლა ზამთრის თვეებში ტიფი კვლავ მაღლა თავს სწევს. ჩვენ უნდა მოვახდინოთ მობილიზაცია მთელი ჩვენი ძალებისა მასთან საბრძოლველად. ამ ბრძოლაში პირველ მიზანს უნდა შეადგენდეს წითელი ჯარის ტანთსაცმელით და თეთრეულით უზრუნველყოფა. წითელ არმიელის ჩაცმა და დახურვა ოქტომბრის რესპუბლიკისათვის მრავალ ათას სიცოცხლის შენახვას ნიშნავს. ამ მიზნისათვის საბჭოთა სახალხო კომისარიატმა დაავალა ქალებს კერონ წითელ არმიელებისათვის თეთრეული.

ინგლისის მუშების მოთხოვნილება.

„მოქმედების საბჭოს“ განყოფილებებმა მთელ ინგლისში მიტინგები მოაწყვეს. ინგლისის მუშები მოითხოვენ საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების დაუყონებლივ აღდგენას.

პოლონეთი და ლატვია.

პოლონეთსა და ლატვიას შორის საიდუმლო ხელშეკრულება დაიდო ლიტვის გაყოფის შესახებ. ამ გეგმას მხარს უჭერს საფრანგეთის მთავრობა, რომელსაც ამ რიგად უნდა სრულიად მოსწყვიტოს რუსეთი გერმანიას.

გაფიცვები საფრანგეთში.

საფრანგეთის ქიმიურ წარმოებების მუშათა კავშირმა სამ ნოემბრისთვის გაფიცვა დანიშნა. შარლეროაში მემალაროებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

ბოლშევიკების ამნისტია.

მოსკოვი. ცენ. აღმ. კომიტ. ოქტომბრის რევოლიუციის აღსანიშნავად ნოემბრის 7 გამოსცა დეკრეტი ამნისტიის შესახებ. ამნისტია ვრცელდება როგორც იმ პირებზე, რომელთა უკვე მისჯილი აქვთ სასჯელი, აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც გამოძიების ქვეშ იმყოფებიან. ამნისტიის ძალით სრულიად განთავისუფლდებიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკისათვის არ წარმოადგენენ საშიშროებას და არ გავრცელდება იმ პირებზე, რომელთაც ბრალდებათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლა.

დეზერტირებს, რომელთაც დახვრეტა აქვთ მისჯილი, დახვრეტა 5 წლით შეეცვლებათ დატუსაღებით.

ლიონის ცნობები

სამხედრო ცნობები.

ვრანგელის ჯარმა პერეკოპიდან წითლები გამოდენა. სევასტოპოლიდან იუწყებიან: მიუხედავათ კომუნისტური ჯარის იერიშებისა მთელ ფრონტზე ვრანგელის ჯარი ახალ პოზიციებზეა გამაგრებული. პერეკოპის ჩრდილოეთით ბოლშევიკები უშედეგოთ შეეცადნენ შეტევის გაგრძელებას, იერიშებში მონაწილეობას იღებდა მოსკოვში შემდგარი დამკვრელი პოლკი და პეტროგრადში შემდგარი კომუნისტური პოლკი. ვრანგელის ჯარის მემარცხენე ფრთამ ნოვოალექსეევკის რკ. გზ. ხაზი გაანთავისუფლა. წითლები ძლიერ დაზარალდენ.

დაპატიმრება.

იტალიის მთავრობამ 92 აგიტატორი დააპატიმრა. ბოლონიიდან იუწყებიან: სოციალისტებსა და პატრიოტებს შორის მომხდარ კონფლიქტის გამო პოლიციამ შრომის ბირჟის შენობაში ჩხრეკა მოახდინა. ხელთ იგდო იარაღები ყუმბარები და სხვა სამხ. მასალა, დაპატიმრებულია 92 კაცი.

გაფიცვების შედეგი.

[illegible] რომელიც გამოაცხადეს სინდიკალისტებმა და სოციალისტთა ზოგიერთმა დელეგატმა, რომლებიც მხარს უჭერენ მოსკოვთან მჭიდრო კავშირის დაჭერას და რუმინეთის მესამე ინტერნაციონალთან შეერთებას—სრული დამარცხებით დამთავრდა.

სომხეთის რესპუბლიკის აღიარება.

რიო დე ჟანეიროდან მოსული დეპეშა იუწყება: ბრაზილიამ სომხეთის რესპუბლიკა აღიარა.

ოსმალები და სომხეთი.

კონსტანტინოპოლიდან მოსულ [illegible] ცნობით, ოსმალთა ნაციონალისტებმა ყარსი აიღეს. სომხეთმა თხოვნით მიმართა აზერბეიჯანს შესწყვიტოს სამხედრო მოქმედება, რათა შეძლება მიეცეს მას, რომ ოსმალთა წინააღმდეგ თავის ჯარს თავი მოუყაროს.

ლიონის პრესა

აჯანყება მოსკოვში.

„პტი პარიზიენმა“ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა: მოსკოვში იმდენათ დიდი აჯანყებაა, რომ ქუჩებში ზარბაზნები დადგეს და ამბოხების დასაცხრომად ჯარი გამოიწვიეს.

სამხედრო სამსახურის ვადა.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა შესდგა შაბათს მილიერანის თავმჯდომარეობით. იმსჯელეს ჯარის რეორგანიზაციის საკითხზე. „პტი პარიზიენის“ ცნობით მინისტრები ამ საკითხის შესახებ პრინციპიალურად შეთანხმდენ; შეთანხმდენ აგრეთვე ახალ სამხედრო კანონის შესახებ, რომელიც წარედგინება პალატას ნოემბრის 15—20 ამ კანონით სამხედრო ბეგარის ვადა შემცირებულ იქნება სამ წლამდე.

საქ. დემ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

აჯანყება პეტროგრადში.

პარიზი. „ტანი“ იუწყება: „უნიონის“ საგენტო ჰელსინგფორსიდან პეტროგრადში მომხდარ მეზღვაურთა აჯანყების შესახებ შემდეგ დაწვრილებით ცნობებს გადმოგვცემს: სექტემბერში მობილიზაციის გამოცხადების გამო აჯანყდენ კრონშტადტის მეზღვაურები, რომლებიც 1400 კაცით და 18 ზარბაზნით, პეტროგრადის მიმართულებით გაემართენ და უბრძოლველად დაიკავეს ქალაქის ნაწილი. რამოდენიმე საათის შემდეგ სატახტო ქალაქის ქუჩებზე ბარიკადები ააგეს. საღამოთი ნამდვილი ომი დაიწყო. პუტილოვის ქარხნის და არსენალის მუშები აჯანყებულებს მიემხრენ. 2 დღის განმავლობაში გრძელდებოდა ქალაქში შეუწყვეტელი არეულობა, რომელიც შემდეგ უმთავრესად ჩინელების რაზმების საშუალებით ჩააქრეს.

საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა.

„ტანი“ შემდეგს იუწყება: თანახმად ლონდონის გაზეთის „მანჩესტერ გარდიენის“ ცნობისა ბოლშევიკურმა რეჟიმმა ფინალური ფაზა გადალახა. სამოქალაქო ომმა დაჰკარგა ყოველგვარი პოპულიარობა. მთელ ქვეყანას საშინელი სიმშილი ემუქრება. მდგომარეობას ართულებს ყუბანიდან პურის მოუტანლობა. შეწყდა აგრეთვე დონეცის ხეობიდან ქვანახშირის მოტანა. ველარ მოაქვთ აგრეთვე ბაქოდან ვერც ნავთი და ვერც სხვა მასალა. წითელ ჯარებს შორის იარაღების მომარაგების მხრით კატასტროფიული მდგომარეობა არის. ჯარის უდიდესი ნაწილი უიარაღოთ არიან. წითელ ჯარში მრავდება აჯანყება და სამხედრო ბრძანებათა აუსრულებლობა.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ **შეღავათების გაგრძელება.** ქალაქის საბჭოს სამხედრო განყოფილება აცხადებს, რომ იმ პირებს, რომლებიც ნამდვილ სამსახურში იმყოფებიან და

ქართული დრამა

„ოტელლო“

7 ნოემბრის წარმოდგენამ დაგვანახვა, რომ ქართველ საზოგადოებას უყვარს შექსპირის პიესები. თეატრის დარბაზი სავსე იყო მაყურებლებით; მათ შორის თქვენ ვერ შეამჩნევდით ჩვენი მაღალი წრეების წარმომადგენლებს, რომლებიც ძველი თეატრის ჩვეულ საზოგადოებას შეადგენდა. დემოკრატია ავსებს თანდათან ჩვენს თეატრს, რომლისაკენაც მას მიაქვს თავისი გემოვნება და თავისი ესტეტიური მოთხოვნილებები. მას არ უნდა ნერვების გამაღიზიანებელი, მოდერნისტული პიესა. იგი უპირატესობას აძლევს კლასიკურს რეპერტუარს, უდიდეს დრამატურგების შექსპირის, სოფოკლეს. ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც ქართველმა დემოკრატიამ გამოიჩინა შექსპირის „ოტელლოსადმი“, ჩვენს თეატრის მესვეურთ პირდაპირ და სწორ გზას უჩვენებს როგორც რეპერტუარის არჩევაში, ისე საერთოდ ჩვენი დრამატიული ხელოვნების მიმართულებაში.

სამწუხაროდ, ჩვენი თეატრის მესვეურთ 7 ნოემბერს ჩაიდინეს ერთი ისეთი დაუშვებელი საქციელი, რომელმაც შეიძლება, დაუკარგოს საზოგადოებას თეატრში მოსვლის ხალისი. ჩვენ ვამბობთ წარმოდგენის დაუშვებელ ხანგრძლივობაზე. წარმოდგენა გაგრძელდა 7½ საათი! ქართულ წარმოდგენებს, საერთოდ სჩვევია უდიდესი ანტრაქტები და გრძელი წარმოდგენები, მაგრამ 7 ნოემბრის წარმოდგენამ, მგონია, ყველა წარმოდგენათა შორის პირველი ადგილი დაიკავა წარმოდგენების ხანგრძლივობის მხრივ. ის, რაც 7 ნოემბერს იყო ჩადენილი, სრულიად დაუშვებელია და, იმედია, ეს შეცდომა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ეს იყო პირველი შექსპირის პიესისა წარმოდგენა.

ანსამბლის და პიესის დადგმის მხრით 7 ნოემბერს წარმოდგენას უეჭველი წინსვლა და გაუკეთესება ეტყობა შედარებით „ოტელლოს“ და საერთოდ შექსპირის პიესების იმ წარმოდგენებთან, რომლებსაც ძველ სცენაზე ვიყავით შეჩვეულნი. მართალია, „ძველი“ ჯერ კიდევ ცოცხალია ჩვენს ახალ თეატრში: აქა-იქ, ზოგიერთ სცენებში ჩვენ ისევ ძველებურად ვიგრძენით თავი (მაგ., როდერიკოს მკვლელობის მთელი სცენა და ზოგიერთი სხვაც). მაგრამ საერთოდ არტისტებს ეტყობოდათ სერიოზული მუშაობა, ჩაკვირვება და როლის შეთვისება.

შექსპირის პიესებში ყველაზე დიდი ყურადღება მიქცეულია მთავარი გმირების ფსიხოლოგიურ განცდაზე; მასიურ ელემენტებს აქ არ უჭირავს დიდი ადგილი. ამიტომ ცალკე არტისტების თამაშს ამ პიესებში დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

შექსპირის პიესას გმირის ოტელლოს სულიერ განცდაში ორი მთავარი მომენტია. მაყურებლის თვალწინ, ასე ვთქვათ, ორი ოტელლოა: პირველი—გმირი ოტელლო, ბრძოლაში გაკაჟებული, შეურყეველი, მტკიცე, ამიტომ წონასწორობით სავსე და მუდამ ძლევას ჩვეული სარდლის კილოს ბეჭედი აზის მის სიტყვას. თითონ ოტელლოს ღირსება ის „სიდარბაისლე და ძლიერება“, რომელსაც იგი ვენეციის სენატორებში ხედავს. მეორე ოტელლო ეს არის უმწეო, პატარა, წონასწორობა-დაკარგული ადამიანი, რომელსაც ქარიშხალივით აბობოქრებული ვნებათა ღელვა ბუმბულივით აქანავებს. აქ პირველ ალაგას სჩანს მისი აფრიკული ტემპერამენტი, რომელიც სრულიად ჩრდილავს და აქარწყლებს იტალიაში შეძენილს კულტურის ზედაპირს. სწორეთ ამ ორგვარობაშია ის სიძნელე, რომელსაც წარმოადგენს არტისტისათვის ოტელლოს როლის ასრულება. ლომი სიყვარულით შეპყრობილი, ალერსიანი და მოშინაურებული, ერთის მხრით, გაცოფებული, მბრდღვინავი, გონება-დაკარგული ლომი მეორეს მხრით, ეს ორი მომენტი უნდა შეარიგოს არტისტმა პირველი ოტელლოს თამაშში უნდა ისმოდეს შესაძლებლობა იმის, რასაც ვხედავთ მეორე ოტელლოში და მეორე ოტელლოში მთლად არ უნდა წაიშალოს ის, რაც მაყურებელმა ნახა პიესის პირველ ნახევარში. ბ ნ იმედაშვილის ოტელლო უფრო მეორე ნახევარშია შექსპირის გმირთან დაახლოვებული, ვიდრე პირველში. პირველში მას არ ამჩნევია არც ისეთი ძლიერება, რომელიც ოტელლოს სიყვარულსაც ისევე ახასიათებს, როგორც ყველაფერს მას არსებაში, არც ის დარბაისლური წონასწორობა, რომელიც უნდა ისმოდეს გმირის ყოველს სიტყვაში. ოტელლო მეორე პერიოდისა ბ. იმედაშვილს უკეთესად გამოუვიდა: მან აგრძნობინა საზოგადოებას წონასწორობა—დაკარგული, მძვინვარე, საწამლავ მოდებული, გამხეცებული აფრიკის შვილი.

დესდემონას როლიც ორმხრივია „ოტელლოში“: პირველი ნახევრის დესდემონა ნორჩი, ცქრიალა, უზრუნველი, მხიარული და მასთან ერთად ალერსიანი ქალური სინარნარით კდემა-მოსილებით და მორცხვობით, მხოლოდ სიყვარულის სიძლიერე აბედვინებს მას თამამის ნაბიჯის გადადგმას და უფროსების მორჩილებიდან გამოსვლას. მეორე ნახევრის დესდემონას არსება მოცულია მწუხარებით, ნაღველით; ეს მწუხარება მით უფრო ძლიერია, რომ მან თითონ არ იცის, რათ ეწვია მას იგი, რით არის გამოწვეული. იგი წააგავს უმწეო ჩიტს, რომელსაც საიდგანღაც დაატყდა რაღაც გაუგებარი უბედურება, რომელთან შებრძოლება ბევრათ აღემატება ცხოვრებისათვის სრულიად მოუმზადებელს, უზრუნველს, გალიაში აღზრდილს არსებას. ქ. ნ. ჩხეიძის თამაშში სრულიად არ ჩანდა პირველი პერიოდის დეზდემონა. მართალია კდემა მოსილება და სინარნარე არ აკლდა მის თამაშს, მაგრამ დესდემონაში ჩვენ ვერ დავინახეთ ახალგაზრდული უზრუნველობა, ცქრიალობა და ბედნიერების ბეჭედი. ქ. ნ. ჩხეიძის დესდემონა თავიდანვე წლოვანებასთან შეუფერებლად დინჯი და დარბაისელი იყო. თავიდანვე შეუფერებელი და დაუსაბუთებელი ტრაგიზმი ისმოდა მის ყოველს სიტყვაში, ყოველს ბგერაში. მეორე პერიოდის დესდემონა ბევრად უფრო ძლიერი გამოდგა ქ. ჩხეიძის ასრულებაში. მისი ტრაგიკული ხმა, კილო, მთელი ფიგურა, შეესაბამება ამ ძლიერს ტრაგედიას, რომელსაც განიცდის დესდემონა. მორჩილი, უმწეო, უბედურებასთან ბრძოლის უნარ მოკლებულია ქ. ჩხეიძის დესდემონა; იგი დაფანტულია, არაფერი ესმის ბედის ტრიალში, არ ესმის იმ უბედურების სათავე, რაც მას თავს დაატყდა. მიუხედავათ იმ უსამართლობისა, რომელიც მიაყენა მას ქმარმა, მისდამი სიყვარული დესდემონას გულში მხოლოდ უკანასკნელი გულის ძგერასთან ერთად წყდება. ჩვენი საერთო აზრია, რომ დესდემონას როლისათვის ჩვენმა სცენამ წლოვანებით უფრო შესაფერი მსახიობი უნდა იშოვოს. მშვენიერია ქ. ნ. ჩხეიძე ძლიერ ტრაგიკულ როლებში, მაგრამ მას არ უნდა დაეკისროს 18—20 წლის ქალების როლები.

იაგოს როლს ჩვენ სცენაზე ბედი თავის დღეში არ სწყალობდა. ამ როლიდან მუდამ რაღაცა მელოდრამატიულ, ცრუ-კლასიკურ გმირს ქმნიდნენ. ჩვეულებრივ ადამიანურს, ისეთს, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში შეხვდები, გაურბოდენ იაგოს როლის შესრულებელნი. ნამდვილათ კი იაგოს როლი სულ მარტივი და შექსპირისებურად ჩამოქნილი, გამჭვირვალე და დასრულებულია. ეს არის ჩვეულებრივათ გაიძვერა, წვრილმანი ინტრიგანი და მასთან ერთად წვრილმანად ჭკვიანი ადამიანი. და ამ როლის ასრულება მით უფრო უკეთესი იქნება, რაც უფრო უბრალოდ, ბუნებრივათ, სადათ ითამაშებს არტისტი. ბ. ზარდალიშვილს, ეჭვი არ არის, ბევრი ჩაკვირვება და შრომა ემჩნევა იაგოს როლის გაშალაშინებაში. ეტყობა, მას სწორედ ისე ესმის იაგოს ტიპი, როგორც ჩვენ ვთქვით: იგი ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ბუნებრიობა და უბრალოება შეეტანა თამაშში და რაც შეიძლება თავიდან აეშორებინა მელოდრამატიზმი, უბუნებრიობა, ოჩოფეხებზე შედგომა. ერთბაშათ ყველა ამის აცილება, რა თქმა უნდა, ძნელია.

მეორე ხარისხოვანი როლების შემსრულებლებზე ბევრს არას ვიტყვით: ემილიას როლი ქ. ამირაჯიბმა ცოტა არ იყოს გააცია უკანასკნელ სცენაში, სადაც მას სჭირია მეტი დრამატიზმი, მეტი აღელვება და ცოტა მეტი სითამამე და თავდაუჭერლობა.

საერთო შთაბეჭდილება: „ოტელლოს“ დადგმა დიდ „პლიუსად“ უნდა ჩაეთვალოს ჩვენს თეატრს. ეჭვი არ არის მას არა ერთხელ გაიმეორებენ, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ანტრაქტები უფრო მოკლე იქნება, წარმოდგენა უფრო ადრე გათავდება და ანგარიში ექნება გაწეული იმ გარემოებას, რომ ჩვენი თეატრი დანიშნული დემოკრატიისათვის, რომელსაც მეორე დღეს სჭირიან ადრე ადგომა და სამუშაოზე წასვლა.

ლ. ნათაძე.

აგრეთვე 1888, 1889, 1894 და 1895 წლების სათადარიგო ჯარისკაცებს, რომლებიც გამვებულნი არიან შვებულებაში სხვადასხვა დროით საგანგებო განკარგულების გამოცემამდე შვებულების გაგრძელების უფლება ეძლევათ.

◆ **რკინის გზელთა შორის.** კარლ კაუცკიმ თავისი მდივნის საშუალებით მიმართა რკინის გზელთა კავშირის გამგეობას თხოვნით, დაუთმოს მას კავშირის ყველა პერიოდული გამოცემა. რკინის გზელთა გამგეობამ კარლ კაუცკის თხოვნა სასწრაფოდ შეასრულა.

— პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა მოიწვიოს დეკემბრის პირველს რკინის გზის მოსამსახურეთა და მუშათა მორიგი ყრილობა.

◆ **მალიარიის წინააღმდეგ.** ჯანმრთელობის დეპარტამენტის მიერ დეპარტამენტის დირექტორის ს.-დ. ჯაფარიძის ინიციატივით მალიარიასთან საბრძოლველად ექსპედიცია არის გაგზავნილი. ექსპედიციას ექიმი ს. კანდელაკი მეთაურობს. წვიმიანი შემოდგომის გამო ექსპედიციის წევრებს ძლიერ მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა. ექსპედიცია დადის სოფლებში და შინჯავს მცხოვრებლებს. ამასთანავე მუშავდება რიგი კონკრეტულ ზომებისა, რომლებიც ამ ციებ-ცხელებიან ადგილის ჯანმრთელებისაკენ არის მიმართული.

◆ **შრომის დაჯილდოვება.** ნოემბრის 5, შრომის სამინისტროში შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ ფაბრიკა და ქარხნების საზოგადოების, ფინანსთა სამინისტროს, ქართულ სატრანსპორტო საზოგადოების, ქალაქთა კავშირის რკინის გზათა მთავარ სახელოსნოების, ტრამვაის და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლები. განარჩევი იყო შრომის დაჯილდოების საკითხი. თათბირმა საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინა: 1) შრომის დაჯილდოების პროექტი, რომელიც მუშათა და სახელმწიფოებრივ მეურნეობის ინტერესებს იცავს, განხორციელდეს უახლოეს დროში თითოეულის მრეწველობის ყოველ დარგში. გადაწყდა აგრეთვე გასაცნობად და დასკვნის წარმოსადგენად შრომის სამინისტროს პროექტი დაუგზავნონ ყველა დაწესებულებებს და უწყებებს.

◆ **დუშეთიდან** რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: დუშეთის სამაზრო ერობის ხმოსანთა მეექვსე ყრილობა გაეცნო რა მდგომარეობას, რომელიც გამოწვეულია ქემალ-ფაშას მიერ ყარსის აღებით, მთელი მაზრის დემოკრატიის სახელით ფიცს სდებს თქვენს წინაშე, რომ ის არ მისცემს ნებას არავის გადმოლახოს ჩვენი საზღვრები. ჩვენი მაზრის დემოკრატია თავის მკერდით დაიცავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. საბჭოს თავმჯდომარე დავით ჩხეიძე.

◆ **სახელმწიფო დრამის თეატრი.** დღეს, წარმოდგენილ იქნება „ოტელო" —შექსპირისა. დასაწყისი საღ. 7 ს.

◆ **ქართული დრამის** დირექცია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ პირველი წარმოდგენა „ოტელოსი" დაგვიანდა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო. მიღებულია ზომები, რომ მომავალში ეს არ განმეორდეს.

◆ **მეოთხე რაიონული კოლექტივი** ხუთშაბათს, 11 ნოემბერს, საღ. 7 საათზე, დანიშნულია მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც მიმდინარე მომენტზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. ალ. ლომთათიძე.

◆ **მეოთხე რაიონული კოლექტივი.** მოუწოდებს თავის წევრთ შემოიტანონ მიმდინარე წლის დამატებითი საწევრო გადასახადი.

◆ **გვარდიელის დაჭრა.** 3 ნოემბერს ჯავშნოსან საავტომობილო დივიზიონის გვარდიელი ილიკო ირაკლის ძე მგელაძე დაიჭრა ვარჯიშობის დროს უცაბედათ გავარდნილ ტყვიით.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში.** სოფელ ზანაში (ზუგდიდის მაზრაში) გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. კორესპოდენციების გაცვლა გამოცვლას აწარმოებს ხობის ფოსტა ტელეგრაფის განყოფილება, რომელიც ზანიდან 9 ვერსის მანძილზე იმყოფება.

◆ **შემოწირულება.** რედაქციამ მიიღო კ. ს. მასხარაშვილისაგან ფრონტზე მყოფ გვარდიელებისათვის 1500 მან, გორელების სასარგებლოთ კი—800 მ. ნ.

◆ **შავი ქვის მრეწველობა.** „ჩემომ" გადასწყვიტა მისცეს სესხად 4 წლის ვადით 10 მილ. მან. ფოთის გადამტვირთავთა პროფესიონალურ კავშირის მუშების სახლის ასაშენებლად.

„ჩემომ" პრინციპიალურად გადასწყვიტა მისცეს ქიათურის დრამატიულ საზოგადოებას 1 მილ. მან. თეატრის შესაკეთებლად.

უცხოეთის შავი ქვის მრეწველობის დიდმა ფირმამ „მანასიემ" შეიტანა „ჩემო"-ში განცხადება, რომელშიაც გამოთქმულია სურვილი „ჩემოს" წევრად შესვლისა.

შავი ქვის მრეწველობის ფირმებმა, რომლებიც „ჩემოში" შედიან ბავშვთა და დედათა დამცველ საზოგადოებას 2 მილ. მან. შესწირეს.

ოქტომბრის განმავლობაში საქართველოდან ინგლისში 10.800 ტონა მარგანეცი გაუტანიათ.

◆ **მუშათა ცენტრალური აუდიტორიის** (ყოფ. კლუბი) გამგეობა ამით აცხადებს, რომ საწევრო ბილეთები, რომლებიც ამ 1920 წლის ოქტომბრამდე იყო გაცემული ან გადაცემული სხვადასხვა დაწესებულებებზე გასავრცელებლათ გაუქმებულათ ითვლებიან. ამასთან ერთად გამგეობა სთხოვს იმ პირთ, რომლებსაც საწევრო წიგნაკები ჰქონდათ მიღებული, დაგვიბრუნონ უკანვე, ყოველი ანგარიშების გასწორება არა უგვიანეს 15 ნოემბრისა.

◆ საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების წლიური საზოგადო კრება შესდგება 28 ნოემბერს დილის 11 საათზე, კვირას ეროვნულ (ყოფილ ფრეილინის) ქუჩა, № 11.

◆ **სენატში.** საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების სხდომაზე 1920 წ. ნოემბრის 12 განსახილველად დანიშნულია საქმეთა ნუსხა: 1) საქმე მიწათმოქმედების სამინისტროს დავით სტეფანოვთან ზარალის ანაზღაურების თაობაზე 2) საქმე: დიმიტრი წიქორიშვილის გიგო და სანდრო ლომაძეებთან ფულების წართმევაზე. 3) საქმე ივანე ოტიაშვილის გიორგი და ალექსი ხმალაძეებთან დარღვეულ მფლობელობის აღდგენის თაობაზე.

კრებები.

— დღეს, საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლეში დანიშნულია საქ. პროფეს. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა. ვთხოვთ ამხანაგებს გამოცხადდნენ დანიშნულ დროზე.

— ოთხშაბათს, 10 ნოემბერს საღ. 5 საათ. ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში შესდგება ს. ს. დ. მ. პარტიის წევრთა საზოგადო კრება, სადაც მოხსენებას გააკეთებს სომხურ ენაზე დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. მ. ვარდოიანი და ჰაკ აზატიანი.

პროვინციის ქრონიკა

თელავი, ნოემბ. 2. უკანასკნელ დღეებში ხორბალი მეტად გაიაფდა. წმინდა ხორბლის ფუთი 2000—2500 მ. იყიდება და ებლა 1400—2500 მ. იყიდება. მოსალოდნელია ხორბლის კიდევ უფრო გაიაფება. გამომცხვარი პურიც გაიაფდა. გირვანქა 50 მ. მაგივრად ახლა 37—4 მ. იყიდება.

ახალციხე 2 ნოემბ. ახალციხის მილიციამ დააპატიმრა 5 პირი, რომლებსაც უნახეს ფული და საბუთები, რაიც მათ ქემალის მომხრეობას ამტკიცებს ქემალ-ფაშას აგენტებს ფხიზლათ ადევნებს თვალყურს ადმინისტრაცია.

სურამი. ნოემბრის 1. სურამის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი გიმნაზიათ გადააკეთოს, და გიმნაზიის 5 კლასი გახსნას.

— სურამის ქალაქის თავათ სულიაშვილი აირჩიეს.

— ქალაქის გამგეობამ თავის გამგებლობაში მიიღო სამხედრო სამინისტროს საავადმყოფო 80 საწოლით, კიდევ 20 საწოლი მიუმატება.

ოსმალთა თავდასხმა სომხეთზე

სომხეთის დიპლომატიურ მისიის ცნობა (ოფიციალურათ). აგა-ბაბის რაიონში თათარ მოსახლეობის აჯანყების გაძლიერების გამო რესპუბლიკის სარდლობა იძულებული შეიქნა ზურგს უკან თავ დასხმულ აჯანყებულთა წინააღმდეგ გაეგზავნა იმ ჯარის ნაწილი, რომელიც ოსმალების შემოტევისაგან ალექსანდროპოლთან მისასვლელ გზებს იცავდა. მიიღო რა მხედველობაში აჯანყების გამო შექმნილი მდგომარეობა, რესპუბლიკის სარდლობამ თანხმობა გამოაცხადა თურქებთან სამხედრო მოქმედების შეწყვეტაზე. სამხედრო მოქმედებანი შეწყვეტილია 7 ნოემბრიდან.

ქალაქთა კავშირში

ქალაქთა კავშირის კომიტეტის სხდომაზე, რომელიც ელიავას თავმჯდომარეობით შესდგა, მოისმინეს მოხსენებანი ტეხნიკურ და სატყეო განყოფილებათა მოქმედების შესახებ. სატყეო განყოფილებამ თავის მოხსენებაში აღნიშნა,—რომ გაითვალისწინა რა მან მოსალოდნელი შეშის კრიზისი, მიმართა ყველა დაწესებულებას შეეტანათ ავანსად ყოველ საჟენზე 1000 მან. შეშის დასამზადებლად. ბევრი გამოეხმაურა ამ წინადადებას, მაგრამ უდიდესი წარმოებანი გაჩუმდნენ, ან და უარი განაცხადეს. ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით შევდგომოდით მუშაობას და ვმუშაობთ ისე, რამდენადაც ამას ნებას საკუთარი საშუალებანი გვაძლევს. მთავარი ყურადღება მივაქციეთ ყარაიაზის რაიონს, მაგრამ აქ მძვინვარე ციებ-ცხელება აშინებდა მუშებს და მხოლოდ ახლა მივიღეთ ნებართვა ნეიტრალურ ზონიდან სომეხ მუშების გამოყვანისა, რომლებიც უფრო მიჩვეულნი არიან აქ მუშაობას. შეშა დამზადებულია, მაგრამ წვიმის გამო მისი გამოტანა გაძნელდა. სულ 7,000 კუბიკური საჟენი არის დამზადებული, აქედან 3,000 კუბიკური საჟენი მუშათა მაგიდას ეკუთვნის. მოხსენებაში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ ქალაქთა კავშირს თავის წარმოების გასაფართოვებლად მთავრობიდან 13 მილ. მან. სესხი მიუღია. მოხსენების შემდეგ დამატებითი განმარტებით გამოვიდა ნ. ელიავა, რომელმაც აღნიშნა, რომ ქალაქთა კავშირი შეშის დამზადების საქმეში ყოველგვარი საყვედურებისაგან განთავისუფლებული უნდა იყოს. შეშა ანგარიშზე არის აღებული შრომის სამინისტროს მიერ. მთავარმა კომიტეტმა დაადგინა: მიიღოს მოხსენება ცნობათ, შემდეგ კომიტეტის წევრმა ფელილევმა კომერციული განყოფილების შესახებ გააკეთა მოხსენება. მოხსენებაში აღნიშნულია განყოფილების კრიტიკული მდგომარეობა, რაც გამოიწვია საბრუნავ თანხის უქონლობის გამო საგარეო ოპერაციების შემცირებამ, ვალუტის კურსის აწევამ და სხვ. მ. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე სატრანზიტო ოპერაციების შედეგებს. ამ ოპერაციებმა თფილისში ხელშესახები შედეგები მოგვცა, რაც 1.200.000 მ.ნ. წმინდა შემოსავალში გამოიხატება. ქალაქთა კავშირის ტრანსპორტი გაძლიერდა და იგი რესპუბლიკაში ამ დარგის უძლიერეს ორგანიზაციას წარმოადგენს. საქიმიო-სანიტარულ განყოფილების გამგემ კიკალიშვილმა თავის მოხსენებაში აღნიშნა მონაწილეობა განყოფილებისა, რომელიც მან მიიღო ხოლერასთან და შავ ჭირთან ბრძოლაში, მოხსენებაში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ ზოგიერთი ქალაქი ამ ბრძოლას ინდიფერენტიულად უყურებდა. (სდს).

ჩრდილო-კავკასიაში

მმართველობის შეცვლა ჩრდილო კავკასიაში.

კავკავში მიღებულ ცნობების თანახმათ, საბოლოოთ იწვევენ ჩრდილო-კავკასიიდან ორჯონიკიძესა და ბუდუ მდივანს. ბაქოდან გაწვეულია ლომინაძე ნარიმანოვის წინააღმდეგ სასტიკ გამოსვლების გამო. მიკოიანი წინათვე იყო გაწვეული. გადაწყვეტილია კავკასის მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამ მიზნით გზავნიან კავკასიაში ჯუღაშვილ-სტალინს, ზინოვიევსა და სტასოვას, რომლებიც მალე ჩამოვლენ ბაქოში („ვ. გ.").

მდგომარეობა ყარაჩაიში.

გენ. ფოსტიკოვის უკანდახევის შემდეგ ყუბანის ოლქში იფეთქა ახალმა აჯანყებამ ბატალპაშინის რაიონში—ყარაჩაიში. მოეწყო ახალი ფრონტი. ახლა ყარაჩაელები აწარმოებენ საზავო მოლაპარაკებას საბჭოთა მთავრობასთან და პარტიზანული რაზმები მთებში წავიდნენ. („ვ. გ.").

ენვერ-ფაშა და მუსტაფა-ქემალი.

ენვერ-ფაშის აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე გამოსვლის გამო მუსტაფა-ქემალმა ოფიციალურათ განაცხადა, რომ როგორც არ უნდა ეთანხმებოდეს ერთმანეთს ეხლა ენვერის ყოფა-ქცევა და მის ანგორის მთავრობის პოლიტიკას, —უკანასკნელს არ შეუძლია მიიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა ოსმალეთის არმიის ყოფილ გენერალისიმუსის პერსონალურ პოლიტიკისათვის.

ენვერ-ფაშა იმ სულიერ განწყობილების დროს, რომელიც ახლა ანგორიშია, არ შეიძლება ანგორის მთავრობის ტერიტორიაზე დაშვებულ იქნეს იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ის იდგება ანატოლიელების მოკავშირე წითელ არმიის მეთაურათ. ყოველივე ცდა მუსტაფა-ქემალის და ენვერის შერიგებისა ჯერჯერობით უნაყოფოა. („ვ. გ.")

სოციალ-დემოკრატიის აღორძინება

მთიულეთიდან იუწყებიან: თერგის ოლქში მოხდა თათბირი სოც. დემოკრატების, რომლებმაც შეადგინეს დროებითი ცენტრალური საორგანიზაციო ბიურო და გამოიმუშავეს მთიელ ხალხთა კავშირის რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი. („ვ. გ.")

მთავრობაში.

თანახმად თავისი თხოვნისა მთავრობამ გაანთავისუფლა მოვალეობის ასრულებიდან ადერბეიჯანში მყოფი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ექიმი გრ. ალშიბაია, რომელიც საზღვარ გარეთ აპირებს გამგზავრებას.

— მთავრობამ დაადგინა გადასცეს ჯანმრთელობის დეპარტამენტს კურორტი აბასთუმანი.

— სამხედრო საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი დ. მირიანაშვილი და ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ბ. ფლავა თანახმად მთავრობის დადგენილებისა განთავისუფლებული არიან მოვალეობის ასრულებისაგან.

— მთავრობამ დაადგინა აიკრძალოს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან ყოველ გვარ წიგნების გატანა. ეს აკრძალვა არ ვრცელდება სომხურ და თათრულ ენაზე დაბეჭდილ წიგნებზე.

უცხოეთი

ამსტერდამი და მოსკოვი.

იმის გამო, რომ ბოლშევიკები აწარმოებენ დემაგოგიურ აგიტაციას პროფესიონალურ კავშირთა ცნობილ საერთაშორისო ცენტრის წინააღმდეგ და კომუნისტურ პრესაში დაბეჭდილ ეგრეთ წოდებულ პროფესიონალურ საბჭოთა „საერთაშორისო საბჭოს" მოსკოვში მანიფესტის საპასუხოთ, პროფესიონალური ინტერნაციონალის ამსტერდამში ბიურომ შემდეგი მოწოდება გამოუშვა.

ყველა შეკავშირებულ მუშებს!

პროფესიონალური ინტერნაციონალი არ სთვლის საჭიროთ თავის დაცვას უაზრო ბრალდებებისაგან, რომლებიც ისეთ პირებისაგან გამოდიან, რომლებსაც ვერც კი გაუბედიათ თავის სახელის გამოქვეყნება.

მიუხედავათ ამისა, საჭიროა მითითება იმაზე, რომ ეგრეთ წოდებული „პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო საბჭო" სინამდვილეში არ არსებობს, ის არავის არ წარმოადგენს და მხოლოდ მოტყუებაა. ეს იქიდან სჩანს, რომ ის აძლევს თავის თავს უფლებას ილაპარაკოს ბრიტანიის, საფრანგეთის, იტალიის და ისპანიის პროფესიონალურ კავშირების სახელით. ნამდვილათ კი ამ ქვეყნების პროფესიონალური კავშირები, ისე როგორც 18 სხვა ქვეყნების კავშირები—ეკუთვნიან პროფესიონალურ ინტერნაციონალს.

მანიფესტის უსახელო ავტორები არიან ან შეშინებული მატყუარები, ან სულელი უვიცნი, რომელთაც არა აქვთ არავითარი წარმოდგენა პროფესიონალური ინტერნაციონალის მოქმედების პრინციპებისა და მიზნების შესახებ.

ამას მოწმობს პროფესიონალურ ინტერნაციონალის წინააღმდეგ წამოყენებული ის ბრალდება, რომ ის (პრ. ინტ.) დამოკიდებულია ხალხთა ლიგაზე და შრომის საერთაშორისო ბიუროსაგან. პროფესიონალური ინტერნაც. მუდამ სასტიკათ იცავდა თავის დამოუკიდებლობას ამ ორი ორგანიზაციის მიმართ, ის მედიოდა მათ წინააღმდეგ, როცა ეს საჭირო იყო, და მომავალშიაც ასევე იმოქმედებს, თუ ამას მოითხოვენ მუშათა კლასის ინტერესები.

მტკიცება იმისა, რომ პროფესიონალური ინტერნაციონალი უძლურია და წარმოადგენს ყვითლების და გამცემლების ორგანიზაციას,—უარყოფილია ყოველივე იმით, რაც პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო ორგანიზაციას გაუკეთებია თავის არსებობის რამოდენიმე თვეში.

ვაშინგტონში პროფესიონალურმა ინტერნაციონალმა აიძულა ხალხთა ლიგა —მიეცა გერმანიის და ავსტრიის ხალხთათვის ისეთივე უფლებები, როგორიც მოიპოვეს სხვა ქვეყნების მუშებმა.

როდესაც ავსტრიის მუშები იღუპებოდნენ შიმშილისაგან, პროფესიონალური ინტერნაციონალი დაეხმარა მათ შემოწირულებების შეგროვებით და დაეხმარა მათ ორგანიზაციების მთლიანობის და საწარმოო ძალების ხელშეუხებლობის დაცვაში.

როდესაც თეთრმა ტერორმა გასჭყლიტა ვენგრია, მაშინ ისევ პროფესიონალური ინტერნაციონალი ჩაერია და ვენგრიას ბოიკოტი გამოუცხადა.

და როდესაც რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობა ისე გამწვავდა, რომ შესაძლებელი იყო ხელმეორეთ აენთებულიყო მსოფლიო ომის ცეცხლი—მაშინ სწორეთ პროფესიონალურმა ინტერნაციონალმა და მასთან შეკავშირებულმა ორგანიზაციებმა მიიღეს ზომები, რომ ხელი შეეშალათ იარაღის და სხვა სამხედრო მასალის მოწოდებისათვის.

მხოლოდ პროფესიონალური ინტერნაციონალი მოქმედებდა, იმ დროს, როდესაც მისი გამკრიტიკებლები კმაყოფილდებოდნენ მანიფესტების ბეჭდვით და სიტყვების წარმოთქმით.

პროფესიონალური ინტერნაციონალი მომავალშიც ისეთივე იქნება, როგორიც იყო წარსულში. ის უარყოფს ყოველივე ინსტრუქციებს, როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან, და ის წინააღმდეგობას გაუწევს ყოველივე დიქტატურას, საიდანაც არ იქნება ის—მოსკოვიდან თუ სხვა ადგილიდან. პროფესიონალური ინტერნაციონალი ისახავს მხოლოდ ერთ მიზანს—მუშათა განთავისუფლებას პოლიტიკურ და ეკონომიურ მონობისაგან.

მოსკოვის მისწრაფებას—დაანაწილოს მუშათა კლასი პოლიტიკური მიზნებისათვის,—პროფესიონალური ინტერნაციონალი უპირდაპირებს მუშათა კლასის ძველ მებრძოლის ძახილს: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით".

მოწოდებაზე ხელი აწერიათ თავმჯდომარე აპლეტონს, თავმჯდომარის პირველ ამხანაგს—ჟუოს, თავმჯდომარის მეორე ამხანაგს მერტენსონს, მდივნებს—ფიმენს და უდეგესტსა.

ელზას-ლოტარინგია.

ამსტერდამის ინტერნაციონალს ემხრობიან.

გაზეთ „ფრეიჰაიტი"-ს ცნობის თანახმათ ელზას-ლოტარინგიის პროფესიონალურ კავშირთა ყრილობამ, რომელიც სექტემბრის ბოლო რიცხვებში შესდგა, მიიღო 58000 ხმა—52 ათასი ხმის წინააღმდეგ—რეზოლიუცია, რომლის მიხედვითაც ხელუხლებელი რჩება ორგანიზაციული და იდეური კავშირი ამსტერდამის ინტერნაციონალთან, 4300 მონაწილემ კენჭის ყრის დროს თავი შეიკავა.

კოოპერატიული ბანკი

ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ეკონომიურ ფინანსიურმა კრიზისმა თავისი დაღი დაასვა კოოპერატიულ მოძრაობასაც. უსაქონლობა და უფულობა,—აი მოკლეთ ამ ორი სიტყვით შეიძლება დავახასიათოთ დღევანდელი ჩვენი კოოპერატივების მდგომარეობა. ამ მიზეზებისა გამო სამწუხაროთ ბევრი ჩვენი კოოპერატივები სულსა ღაფავენ.

ამ საერთო მიზეზებთან ერთად საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი სათანადო უყურადღებობაც ერთვის, რამაც ლამის არის კოოპერატიული მოძრაობა ჩაახშოს. და თუ კვლავაც ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა, კოოპერატიული საქმიანობის შეფერხებით დიდათ შეფერხდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინების საქმეც; ეს კი ჩვენთვის აუტანელი შეიქნება, რაც დიდ განსაცდელს დაგვატეხს.

სამომხმარებლო და საწარმოვო კოოპერაციის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკრედიტო კოოპერაციას; კრედიტი,—ეს ის მთავარი ღერძია, რომელიც ასულდგმულებს, ამოძრავებს და ზრდის სახალხო მეურნეობას; როგორც სასოფლო მეურნეობის, ისე ვაჭრობა მრეწველობის აყვავება დამოკიდებულია განვითარებულ კრედიტზე.

კრედიტის საქმეს განაგებენ ბანკები. ისინი იძლევიან კრედიტს, სესხს და ამით საშუალებას აძლევენ, როგორც მეურნეთ, ისე მწარმოებლებს საწარმოვო ძალების ამოძრავებისას და განვითარებისას.

ჩვენი მიზანია საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ხასიათის წარმოებათა აღორძინება და წარმატება; ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეთ იმ ბანკებს, რომლებიც ასეთი ხასიათის წარმოებას ეხმარებიან კრედიტით.

ამიტომაც ჩვენთვის უფრო საყურადღებოა სახელმწიფო და კოოპერატიული ბანკების მოქმედება. ამ ბანკების დანიშნულებაა უპირველეს ყოვლისა ემსახურონ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ხასიათის წარმოების აღორძინება—განვითარებას.

კოოპერატიული ბანკის ოპერაციების ზრდა მაჩვენებელია იმ საზოგადოებრივი ნდობისა, რომელიც თანდათანობით ვითარდება. ეს კი საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კოოპერაციას საზოგადოთ და კერძოთ კოოპერატიული კრედიტის განვითარებას ჩვენში დიდი მომავალი აქვს, მიუხედავათ დღევანდელი სულის შემხუთველი ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისისა.

კოოპერატიული ბანკი დაარსებულ იქნა მიმდინარე წლის აპრილის 20. მისი ძირითადი თანხა იყო 5 მილიონი. მისი კრედიტის თანდათანობით ზრდას ახასიათებს შემდეგი ციფრები: თვიური ბალანსი უდრიდა განვლილი ნახევარ წლის განმავლობაში:

პირველ მაისისთვის—2.600.000 მან.
„ ივნისისთვის—4.600.000 „
„ ივლისისთვის—11.915.000 „
„ აგვისტოსთ.—20.170.000 „
„ ენკენისთვის—42.160.000 „
„ ოქტომბრის—56 870.000 „

ამასთანავე თანდათანობით იზრდებოდა საზოგადოების მხრივ ნდობა კოოპერატიულ ბანკისადმი; ამას ამტკიცებენ ამავე ხნის განმავლობაში ბანკში შეტანილი სახელდახელო ანგარიშის თანხები:

„ მაისში — 280.000 მან.
„ ივნისში — 1.170.000 „
„ ივლისში — 3.380.000 „
„ აგვისტოში—11.400.000 „
„ ენკენისთვეში17.450.000 „
„ ოქტომბერში21.450.000 „

ყოველი ბანკის მნიშვნელობის დამახასიათებელია გაცემული სესხი, რომელიც იმავე ხნის განმავლობაში გამოიხატებოდა შემდეგ ციფრებში:

გაცემული იყო სესხი:
„ მაისში — 1.190.000 მან.
„ ივნისში — 2.100.000 „
„ ივლისში — 6 100 000 „
„ აგვისტოში— 12.000.000 „
„ ენკენისთვეში 24.000.000 „
„ ოქტომბერში 32.000.000 „

აქედან სჩანს, რომ კოოპერატიული ბანკის მდგომარეობა თანდათანობით უმჯობესდება; მისი მნიშვნელობა და საზოგადოებრივი ნდობა იზრდება.

ეკონომიური ცხოვრების ლოღიკა და დემოკრატიის ეკონომიური პოლიტიკა მოითხოვს დიდი ყურადღების მიპყრობას კოოპერაციის ყოველი დარგისაკენ, განსაკუთრებით კი მიმდინარე ფინანსიური კრიზისის გამო საკრედიტო კოოპერაციისაკენ.

სამწუხაროთ, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბანკი სათანადო ანგარიშს არ უწევს ამ გარემოებას. მას მხოლოდ 10.000 000 მან. კრედიტის მეტი არ გაუხსნია კოოპერატიული ბანკისათვის; და ამავე დროს კრედიტისათვის მისულ კოოპერატივებს სახელმწიფო ბანკი კოოპერატიული ბანკისაკენ უთითებს.

მეტი ყურადღება კოოპერაციას.

ი. ირემაშვილი.

ამხ. ნიკიფორე კოზიძის ხსოვნას

შავი სიკვდილის შავმა კლანჭებმა ჩვენს დემოკრატიის რაზმს ერთი საუკეთესო მუშათაგანი კიდევ გამოსტაცა.

ბაქოს, განჯის და ბოლო ხანებში თფილისის დეპოს მუშები კარგად იცნობდნენ ამხ. ნიკიფორეს და მათ შორის ის ყოველთვის განსაკუთრებული ნდობით და სიყვარულით სარგებლობდა.

მიუხედავათ სუსტი აგებულებისა, ამხ. ნიკიფორე არ ერიდებოდა არავითარ ჯაფას და როგორც მემანქანე დაუზოგავათ ეწეოდა ნახშირიან ორთქლმავალზე მუშაობას, რითაც ბევრ სხვა ამხანაგებსაც ეხმარებოდა. მაგრამ მძიმე მოვალეობამ სინდისიერ მემანქანისა აღარ დაინდო ამხანაგის სუსტი არსება და ის ცხოვრებას გამოასალმა.

განისვენე, ამხ. ნიკიფორე, ცივ სამარეში, რომელსაც გულის ტკივილით მიაბარეს შენმა ამხანაგ-მეგობრებმა.

ანტონ მარგველაშვილი.

ბოროტ-მოქმედებანი პურის საქმეში

მუშათა მაგიდა აქვეყნებს იმ პირთა მესამე სიას, რომლებიც მომარაგების ფონდიდან პურსა და სხვა სანოვაგეს არა კანონიერის გზით 2 ადგილას ღებულობდნენ: 1) ნ. მელიქიშვილი ითვლება ოლღას სახელობის ინსტიტუტში და სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2) ნაცვლიშვილი ითვლება მე-9 კომისარიატში და ქალაქის თვითმართველობაში, 3) კერენტრიშვილი ითვლება სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციაში და ქალაქის თვითმართველობაში, 4) ა. მატრაკოვი ითვლება საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებასა და მე-7 ქვეითა პოლკში, 5) ვავილოვსკი ითვლება თუთუნის ქარხანა „შვიდ მნათობსა" და საქციზო სამმართველოში, 6) ა. კარაპეტიანცი ითვლება ტრამვაისა და ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებაში, 7) ს. მაჭავარიანი მომარაგების სამინისტროსა და ტრამვაიში, 8) ნ. მაჭავარიანი ირიცხება საეპარქიო კანცელარიასა და ტრამვაიში, 9) ვ. ვინოგრადოვი ირიცხება პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში და მიწად-მოქმედების სამინისტროში, 10) მ. ბარათაშვილი ირიცხება ცენტრობანკსა და სასამართლო პალატაში, 11) ვ. რატიანი ირიცხება რკ. გზ. დეპოში და მისი ცოლი პურს ცალკე იღებს. ორივე ცოლქმარი პურს ცალ-ცალკე მთელი ოჯახისათვის იღებდენ და ზედმეტს ყიდდენ, რატიანი დაჯარიმებულ იქნა 4200 მანეთით.

აღნიშნულ პირებს მოესპოთ ულუფა და ისინი პასუხის გებაში მიეცენ.

რკინის გზაზე

გზათა დეპარტამენტის საბჭოში შევიდა მოხსენება ბათომის რკ. გზის სადგურის ექსპლოატაციის შესახებ, მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „კავკასიისა და მერკურიის" საზოგადოებამ აღძრა შუამდგომლობა ბათომის სადგურის მისთვის იჯარით გადაცემის შესახებ. ეს საზოგადოება იძლეოდა განსაზღვრულ საიჯარო ფასს. ამგვარივე შუამდგომლობა შემოვიდა ქართულ პასუხისმგებელ არტელისაგან, რომელიც განსაზღვრულ საიჯარო გადასახადს შუამდგომლობაში არ აღნიშნავდა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ბათომის სადგური გაიხსნა აგვისტოს 10-ს; მიზნათ ქონდათ მისი გაფართოება. აგვისტოს 10-დან სექტემბრის 1-მდე საკომისიო შემოვიდა 376,441 მან. აქედან წმინდა მოგება უდრიდა 263,616 მან. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ამ ახლო ხანში ძნელია ბარგის გადატანის და მგზავრების გადაყვანისსაქმის გაძლიერება და ამიტომ ის წინადადებას იძლევა ხელშეკრულება დასდონ ზემოაღნიშნულ საზოგადოებასთან. იმ შემთხვევაში, თუ ყოველ თვიური შემოსავალი 500,000 მანეთზე მეტი იქნება, მაშინ ზედ-მეტი შემოსავლის 40 პროც. რკინის გზას უნდა გადაეცეს. მოხსენებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ რკინის გზამ თავისი კონტროლი დააწესოს ქალაქის სადგურის შემოსავალზე.

ახალგაზრდა მარქსისტთა შორის

სოფ. ხაშმი. (გარე კახეთი). ოქტომბრის 19 სოფ. ხაშმის მოწინავე ახალგაზრდობამ მოიწვია სამაზრო კომიტეტის წევრი ლ. კაკაბაძე, ახალგაზრდა მარქსისტთა წრის დასაარსებლათ. კრებაზე დაესწრო ას კაცამდე—ქალი და კაცი. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ნიკოლოზ თუხარელი და მდივნათ ანდრია ქოქრაშვილი. კრების გახსნის შემდეგ, კრების თავმჯდომარემ მოკლე სიტყვით აუხსნა ახალგაზრდობას მიზეზი შეკრებისა. მას შემდეგ ამხ. ლ. კაკაბაძე მიმართა მოწოდებით ახალგაზრდობას, რომ მათ შეედგინათ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია, როგორც არის მაგალითად ს. საგარეჯოში, მანგლისში და სხვაგან. ამხ. ლ. კაკაბაძემ განუმარტა დამსწრეთ ორგანიზაციის დანიშნულება.

ამხ. ლ. კაკაბაძეს სიტყვას ახალგაზრდობა შეხვდა დიდის აღფრთოვანებით. ამის შემდეგ ორგანიზაციაში ჩაეწერა 52 კაცი და ქალი. ამ წრიდან არჩეულ იქნა კოლექტივი 5 კაცისაგან შემდგარი. კოლექტივში შევიდნენ: გიორგი ბათიაშვილი (თავმჯდომარე) ნიკოლოზ თუხარელი (თავმჯდომარის ამხანაგი და მდივანი). წევრები: გიორგი ქიაბრიშვილი, ანნა ქოქრაშვილი, ნინა ვარძელაშვილი და კანდიდატებათ: კოტე ინანიშვილი (ხაზინადარი) და თამარა თევდორაშვილი. ორგანიზაციის სახელით კოლექტივის თავმჯდომარემ გ. ბათიაშვილმა მადლობა გადაუხადა ამხ. ლადო კაკაბაძეს ორგანიზაციის მოწყობისათვის.

არჩეულმა კოლექტივმა კრების დახურვის წინეთ შეიმუშავა დეპეშა და გაუგზავნა ციკას, შემდეგი შინაარსის:

„ახლათ შემდგარმა ახალგაზრდა მარქსისტთა კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. ლ. კაკაბაძისა მარქსიზმზე, დაადგინა, რომ იზიარებს მას და ამიერიდან უერთდება ესდეკთა რევოლიუციონურ ოჯახს".

კრების-თავმჯდომარე **ნიკოლოზ თუხარელი.**

სახალხო გვარდიაში

2 ნოემბერს შესდგა საზოგადო კრება სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონის გვარდიელებისა. თავმჯდომარეობდა ამხ. ს. კვეზერელი, მდივნობდა გ. ბრ—ლი. დღის წესრიგში იყო: მოხსენება ამავე ბათალიონის დელეგატებისა სახალხო გვარდიის მე-2-რე ყრილობის მუშაობის შესახებ. მოხსენება გააკეთა ყრილობის წევრმა ამხ. დ. ორაგველიძემ, რომელმაც დაწვრილებით გააცნო კრებას ყრილობის მუშაობა და მისი დადგენილებები. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე სახალხო გვარდიაში სამეურნეო განყოფილების შემოღების საკითხს. უხსნის კრებას მის მნიშვნელობას და ათავებს შემდეგი სიტყვებით: ჩვენი მიზანია იარაღი დაუმორჩილოთ შრომას და არა შრომა იარაღს, ამისათვის ყრილობამ მიიღო დადგენილება, რათა სახალხო გვარდიაში შემოღებული იქნეს წელიწადში ერთხელ ათი დღის სავალდებულო შრომა და მე იმედი მაქვს, საგანგებო ბათალიონი, თუ რომ პირველობას იჩენდა ბრძოლის დროს, ის პირველი გამოვა მუშაობის დროსაც. მოხსენების შემდეგ კრება ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას:

მოისმინა რა სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონის საზოგადო კრებამ ამხ. დ. ორაგველიძის მოხსენება—სახალხო გვარდიის მე-2-რე ყრილობის მუშაობის შესახებ კმაყოფილი დარჩა და სრულებით იზიარებს ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებებს. მხოლოდ; რაც შეეხება სხვებთან ერთათ ყრილობაზე მიღებულ დადგენილებას, რომ სახალხო გვარდიაში შემოღებულ იქნას სავალდებულო შრომა, რასაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მომხსენებელი თავის მოხსენებაში, იწონებს ყრილობას მიერ ასეთ ნაბიჯის გადადგმას და ადგენს: სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონი მზათ არის პირველი მოთხოვნილებისთანავე გავიდეს სამუშაოთ თანახმათ ყრილობაზე მიღებულ დადგენილებისა.

გვარდიელი: ე. ბროკოშვილი.

ქართველ კათოლიკეთა სამრევლო სკოლის გარშემო

ერთი წელიწადია რაც თფილისში არსებული კათოლიკეთა სამრევლო სკოლა ქალაქის თვითმართველობის ხელში გადავიდა ამან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქართველ კათოლიკეთა შორის და თითქმის უკმაყოფილებაც დაბადა, რაც აიხსნება ერთგვარი გაუგებრობით. ამიტომ საჭიროა ამ გაუგებრობის გაფანტვა და საქმის ნამდვილი გა-

თარების გაგება. ფაქტიური მხარე ამ საკითხისა ასეთია: ეკლესიის მზრუნველობამ, რომელიც ამ სკოლას თავის ხარჯზე ინახავდა, უსახსრობის გამო ვერ შეძლო ამ სკოლის შენახვა და რამდენიმეჯერ მიმართა ქალაქის თვითმართველობას, რომ მას აეღო ეს სკოლა თავის ხელში. ქალაქი დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ სამზრუნველოს დაჟინებითი თხოვნით ის იძულებული შეიქნა აეღო სკოლა თავის ხელში. აქ მოხდა ქალაქსა და ეკლესიის სამზრუნველოს შორის შემდეგი შეთანხმება: 1) სკოლა გადადის ქალაქის გამგებლობაში შენობით და სკოლის ინვენტარით და ქალაქი ინახავს მას თავის ხარჯით. შენობით და სკოლის ინვენტარით ქალაქი სარგებლობს, სანამ ის სკოლას თავის ხარჯით ინახავს. თუ ვინიცობაა ქალაქი უარს იტყვის სკოლისთვის საჭირო ხარჯების გაღებაზე, მაშინ სკოლის შენობა ინვენტარით უბრუნდება სამზრუნველოს; 2) მოწაფეების მიღებაში უპირატესობა ეძლევა ქართველ კათოლიკეთ, 3) სამღვთო სჯულის სასწავლებლათ მსურველთათვის, სკოლის შენობაში ეთმობა ერთი ოთახი სწავლის შემდეგ და 4) სკოლის გამგეთ ინიშნება საერო პირი. ასეთია მთავარი მუხლები შეთანხმებისა. ამის შემდეგ ქალაქი შეუდგა სკოლის სასურველ ნიადაგზე დაყენებას: დანიშნა მასწავლებლები, თავი მოუყარა გაფანტულ მოწაფეებს, სკოლის შენობიდან დაითხოვა დგმურები და სხვა. ამ ჟამად სკოლაში ითვლება 170-დე ბავშვი ექვსი მასწავლებლით, ქალაქი წლიურად ხარჯავს ამ სკოლაზე არა ნაკლებ ნახევარი მილიონისა. ეხლა კი ეკლესიის მზრუნველობა მოითხოვს ქალაქიდან სკოლის დაბრუნებას.

რა მოხდა? რამ გამოიწვია სკოლის დაბრუნების მოთხოვნა? შეიძლება სამზრუნველოს მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა? არა. სამზრუნველოს მატერიალური მდგომარეობა ისეთია, როგორც წინეთ—უარესი თუ არა, და უდავოა რომ სკოლის თავის ხარჯზე შენახვა მას არ შეუძლია. აქ ადგილი აქვს ერთს გარემოებას. როგორც თითქმის ყოველთვის, როცა კი რამე საქმე გადადის ერთი ორგანიზაციიდან მეორეში, იქნება უკმაყოფილო ჯგუფი, ისე აქაც შესდგა პატარა უკმაყოფილო წრე პატრი გოზალოვის (გოზალოვი, გოზალაშვილი თუ გოზალატი!) მეთაურობით, რომელიც ცდილობს სკოლა უკანვე დაიბრუნოს. ეს წრე ვერას გახდა ქალაქის გამგეობასთან, რომელმაც მას უარი უთხრა და ეხლა, როგორც გადმოგვცემენ მთავრობის წევრები უნდათ შეცდომაში შეიყვანონ და ამ რიგად მიზანს მიაღწიონ.

გავარკვიოთ ეს საკითხი ყოველმხრივ. სწავლა აღზრდის საქმეში ძველ რეჟიმის დროს დიდი ბრძოლა იყო პედაგოგებსა და კლერიკალებს შორის, პედაგოგები მოითხოვდნენ საერო სკოლას და მისი მღვდელ-ეპისკოპოზების ბრჭყალებიდან განთავისუფლებას. სკოლა უნდა ყოფილიყო თავისუფალი, სალი მიმართულების და ნამდვილი ტაძარი მეცნიერებისა, ეს იყო სურვილი საზოგადოების საუკეთესო ნაწილისა. ამას იზიარებდნენ სოციალისტები, აქეთკენ იყო მიმართული ჩვენი ბრძოლა ამ დარგში და ჩვენმა დემოკრატიამ აქ მიაღწია თავის მიზანს.

ჩვენი სკოლიდან სრულიად განდევნილია კლერიკალური სული. და ამ დროს გამოძღვარა პატრი გოზალოვი და მოითხოვს ჩვენი რესპუბლიკის უკან დახევას და მისი პრინციპების შებღალვას. ეს ხდება იმ დროს, როდესაც ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორება პრინციპიალურად მიღებულია და დღეს თუ ხვალ ეს ცხოვრებაში უნდა გატარდეს, როდესაც სკოლა უნდა იქნეს მძლავრ იარაღად ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისა და ეკლესიას არ უნდა ჰქონდეს კავშირი ახალ თაობის და მომავალი მოქალაქის სწავლა-აღზრდის საქმესთან.

ამ დროს სკოლის პატრების ხელში გადაცემა იქნებოდა ჩვენი პრინციპების ღალატი და მიუტევებელი ცოდვა. მეორეს მხრით, სკოლა უნდა იყოს ეროვნული. ბავშვს უნდა მიეცეს საშუალება განვითარდეს თავის დედაენაზე, მისი გონება და აზროვნება ჩადგეს ნორმალურ კალაპოტში, რომ აღიზარდოს სალი გონების ადამიანი. ამ მხრივ ქალაქის სკოლები საკმაოდ კარგ ნიადაგზე არიან დაყენებულნი და ვინც ამ სკოლებს იცნობს, ის დამეთანხმება იმაში, რომ შეიძლება ბევრს განათლებულ ქვეყნებსაც შეშურდეს ჩვენი ქალაქის სკოლების მდგომარეობა. აქ კი თავის თავად იბადება შემდეგი საკითხი: თუ ქალაქის სკოლები კარგ ნიადაგზე არიან დაყენებულნი, თუ ისინი აკმაყოფილებენ ქართველების მოთხოვნილებას, რატომ არ მოსწონთ ისინი ქართველ კათოლიკეთ და მოითხოვენ სამრევლო სკოლას. მაგრამ აქ პატრი გოზალოვს კითხვა გადააქვს რელიგიოზურ ნიადაგზე და ამბობს: ქალაქმა სკოლიდან განდევნა სამღვთო სჯული, ჩვენ გვართმევენ სჯულს და ამ დროს ავიწყდება ქალაქთან დადებული მის მიერ ხელ მოწერილი პირობა, სადაც ნათქვამია, რომ სამღვთო სჯულის სასწავლებლად სკოლის შენობაში დაეთმობა მსურველებს ერთი საკლასო ოთახი.

კერძო სკოლებს ძველ რეჟიმის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენ ვიცით წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების და საქველმოქმედო საზოგადოების სკოლები, რომლებიც ცდილობდნენ, შესაძლებლობის ფარგლებში, სკოლები დაეყენებინათ სალ პედაგოგიურ ნიადაგზე. ამ საზოგადოებებს ამოძრავებდა სალი პედაგოგიური აზრები. მაგრამ რა წამსაც რევოლიუცია მოხდა და სათანადო დემოკრატიული ორგანოები შეიქმნა, ამ საზოგადოებებმა თვითონვე უდავოდ გადასცეს თავიანთი სკოლები ქალაქებს და ერობებს და თვითონ კი სხვა საქმეს მოჰკიდეს ხელი. ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა თვითონ მეტის-მეტად დაინტერესებულია სკოლების საუკეთესოდ მოწყობაში. ამისთვის მა'ს უფრო მეტი შეძლება და საშუალება აქვს, ვიდრე რომელიმე კერძო დაწესებულებას. ჩვენს პირობებში კერძო სკოლებს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ წმინდა კომერციული მიზნები. ეს აშკარად სჩანს იქიდან, რომ მთელი რიგი კერძო სასწავლებლებისა მთავრობამ უკვე დაჰკეტა. მე მესმის როდესაც ამერიკაში, ან ინგლისში ხსნიან კერძო სკოლებს მძლავრი ორგანიზაციები. ისინი დაინტერესებული არიან მხოლოდ და მხოლოდ საქმის იდეიური მხარით. ჩვენ კი ჯერ-ჯერობით ვერ ვართ იმ დონემდე მისულნი. ამ შემთხვევაში პატრი გოზალოვის სკოლას ექნება მხოლოდ რელიგიოზური მიზანი. გარდა ამისა დროებითი მთავრობის და შემდეგ სამინისტროს განკარგულებით ყველა სამრევლო და სამინისტრო სკოლები გადავიდნენ თვითმართველობების ხელში. თავისთავად ცხადია, რომ ქართველ კათოლიკეთა სამრევლო სკოლაც უნდა მოყოლოდა ამ განკარგულებების ფარგალში. რა კანონით და საბუთებით მოითხოვს პატრი გოზალოვი სკოლის თავის ხელში დარჩენას? რა უფლებით მოითხოვს ის უპირატესობას სხვა სარწმუნოებისა და მოქალაქეთა შორის? აშკარაა, რომ აქ უპირატესობა არავის არ უნდა მიეცეს.

დაბოლოს ამ საკითხს აქვს პოლიტიკური მხარეც. როგორც ამბობენ, პატრი გოზალოვს მიუმართავს ამ საკითხის გამო ახლად რომიდან ჩამოსულ რომის პაპის ლეგატისთვის. ეს კი შეუწყნარებელია საქართველოს მოქალაქე ქართველ კათოლიკესათვის. არც ერთი კეთილგონიერი მოქალაქე არა დროს არ მიმართავს სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელს თავის სახელმწიფოს შინაური საქმის შესახებ. ეს მით უმეტეს დაუშვებელია, რომ ჩვენს რესპუბლიკას ასე ძლიერ ესაჭიროება შინაური სიმტკიცე, გამაგრება და თანხმობა, რომ მოიპოვოს გარედ ნდობა და დამოუკიდებლობა. აქაც, მე მგონია, პატრი გოზალოვი წრეს გადაცდა. და მოიმოქმედა ის, რისთვისაც არა მგონია, რომ ქართველ კათოლიკეთა საზოგადოებამ მას მადლობა გადაუხადოს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ პატრი გოზალოვ'ს შეცდომაში შეჰყავს ქართველ კათოლიკეთა საზოგადოება და მას ამ საკითხის არსებითი მხარე არ გაუცვნია საზოგადოებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საკითხი სადაოდ არ გახდებოდა. საჭიროა რომ შეგნებული ნაწილი ქართველ კათოლიკეთა ჩაერიოს ამ საქმეში, შეაჩეროს აღვირაწყვეტილი პატრი და უჩვენოს თავისი ადგილი და საქმე.

პ. ხ—შვილი.

ს.-დ. პარტიაში

ქ. თფილისი. 4 ნოემბერს შესდგა საქ. ს. დ. მ. პარ. პირველ რაიონის კოლექტივის სხდომა ამხ. გ. ბახტაძის თავმჯდომარეობით. მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ პარტიული და საერთოდ კულტურული მუშაობა ძლიან ფერხდება მუშების გაჭირვებულ ნივთიერ მდგომარეობის გამო, მუშებს დიდი იმედი აქვთ, რომ უკანასკნელი ეკონომიური თათბირის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებით გაუმჯობესდება მათი მდგომარეობა. ჩვენი ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოებიც ვალდებულნი არიან იზრუნონ აღნიშნულ თათბირის დადგენილებების საჩქაროთ განხორციელებისათვის—წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ცუდ შედეგებსო, ათავებენ ორატორები თავიანთ სიტყვებს.

საწევრო ბილეთების შესახებ—კოლექტივს გამოაქვს დადგენილება: პირველ რაიონულ ორგანიზაციის ყველა იმ წევრებს, რომლებსაც არ შეუცვლიათ ძველი საწევრო ბილეთი „რუს. სოც. დემ. მუშ. პარ." წარწერით—ვალდებულნი არიან ამ თვის 15-დან გამოცხადდნენ რაიონის ბიუროში—და შესცვალონ ასეთები ახალ „საქართველოს სოც. დემ. მუშ. პარტიის" წარწერით ბილეთებზე—წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინც არ გამოცხადდება ბიუროში და არ შესცვლის ძველ საწევრო ბილეთს ახალზე, ის უსიტყვოდ გარიცხული იქნება პარტიიდან, მისი სახელი და გვარი გაზ. „ერთობაში" გამოცხადდება: ვალდებულნი არიან გამოცხადდენ აგრეთვე, რაიონის ბიუროში ისინიც, ვისაც მიღებული აქვს ახალი საწ. ბილეთი „საქარ. სოც. დემ. მუშ. პარ." წარწერით.

კოლექტივის წევრები—ამხ. ქანტურია და მეზვრიშვილი, მათგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო არ ესწრებიან კოლექტივის სხდომებს; საჭიროა გამოგზავნილ იქნენ კოლექტივში მათი კანდიდატები.

შემდეგ ამხ. გ. ბახტაძე აცნობს კრებას ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობის გართულებას—ქემალ-ფაშას სომხეთზე შემოტევის გამო, რომელსაც სურს ბალშევიკებთან შეერთება—ამას თუ დაუმატებთ სახელმწიფოს ფინანს.-ეკონომიურ კრიზისს, ჩვენ მივიღებთ, რომ სახელმწიფოს მდგომარეობა საერთოთ სერიოზულია—საჭიროა ასეთ ისტორიულ მომენტში დემოკრატიის და მუშათა კლასის მხრივ მეტი სიფხიზლე. კრებას იმედი აქვს, რომ დღევანდელი კრიტიკული მდგომარეობიდანაც გამოვალთ გამარჯვებულნი...

ბოლოს დამსწრეთა შორის ცხარე კამათის იწვევს საერთოთ ყველა საწარმოო დაწესებულებებში და კერძოთ რკინის გზების მთავარ სახელოსნოებში და დეპოში **ნარდი** მუშაობის შემოღება. რაც უკანასკნელ პროფესიონალურ კავშირებს ყრილობის მიერაც იქნა მიღებული. საკითხის ყოველ მხრივ აწონ-დაწონვის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: დღევანდელ პირობებში ერთად-ერთი გზა წარმოების ნაყოფიერების ასაწევათ არის საჩქაროთ ყველა საწარმოო დაწესებულებაში **ნარდი** მუშაობის შემოღება—კერძოთ მთავარ სახელოსნოებში და დეპოში კოლექტივის დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ ზომების მისაღებათ გადაეგზავნოს აღნიშ. დადგენილება ადგილობრივ რკინის გზების მუშა-მოსამსახურეების პროფეს. კავშირების სოც.-დემ. ფრაქციებს.

ამასთანავე კავშირებმა უნდა მიიღონ მხედველობაში შემდეგი: რომ ადმინისტრაცია იდგეს თავის სიმაღლეზე—**ნარდი** მუშაობის დროს მან თავის დროზე უნდა მიაწოდოს მასალა და სხვა, რომ მუშებმა მართლაც შესძლონ წარმოების აწევა და თითონაც მიიღონ ძირიდათ ჯამაგირზე ზედმეტი—წინააღმდეგ შემთხვევაში **ნარდი** მუშაობას შემოღება მიზანს ვერ მიაღწევს.

მდივანი **გ. ფოფხაძე.**

—

ს. ხევი (გურია). 1920 წლ. ოქტომბრის 10 დღეს შესდგა ხევის თემის ს. ს. დ. მ. პარტიის კრება. კრებას დაესწრო პარტიის 120 წევრი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. პლატონ ანთიძე, მდივნათ აკ. მამალაძე. განსახილველი იყო: 1) მოხსენება რაიონულ კოლექტივიდან, 2) არჩევნები კოლექტივის წევრებისა, 3) არჩევა გურიის ცენტ. კომ. წევრებისა.

კრებამ მოისმინა რა ამხ. მამალაძის მოხსენება კოლექტივის მუშაობის შესახებ, მადლობას უცხადებს კოლექტივის წევრებს და გადადის მორიგ საკითხზე.

კოლექტივის წევრებათ არჩეულ იქნენ: 1) კოწია ანთიძე, 2) რ. რამიშვილი, 3) მ. მამალაძე, 4) აკ. მამალაძე, 5) ერ. უჯმაჯურიძე, 6) ხარ. ქლენტი, 7) მიხაკო ჭინჭარაძე, 8) კლ. ქორიძე და 9) ილ. მამამალაძე, გურიის ცენტ. კომიტეტის წევრათ კრებამ ერთხმად აირჩია აკ. მალაძე. ახლად არჩეული კოლექტივის თავმჯდომარე მიმართავს კოლექტივის წევრებს სიტყვით და მოუწოდებს მათ ენერგიული მუშაობისაკენ.

ბუღარე.

მუშათა შორის

თფილისის თვითმართველობის მთავარი პურის საცხობის მუშის განცხადება. ჩვენ ვიცით, რომ პურის ღირსების გაუმჯობესება დამოკიდებულია გარდა პურის მცხობელებისა, ფქვილისა და ხორბლის ღირსება ნაკლულოვანებაზე. თუ ფქვილი ნაკლები თვისებისაა, ის მუდამ ცუდი გამოვა, როგორიც არ უნდა დაამუშავოს მცხობელმა. ჩვენ ყოველივე საშუალებას ვხმარობთ ავსწიოთ პურის ღირსება, მაგრამ ჩვენი ცდა უნაყოფოა, ვინაიდან იმ ფქვილში, რომლიდანაც დღეს ჩვენ პურს ვცხობთ, ნამდვილი ხორბლის ფქვილი მხოლოთ 40% არ აღემატება. საზოგადოებრივ აზრი და პრესა კი ჩვენ გვდებენ ბრალს; მრავალჯერ უარი განვაცხადეთ ასეთი ფქვილის გამოცხობაზე, მაგრამ საბოტაჟობა დაგვწამეს. ადმინისტრაცია ყოველდღე გვპირდება ფქვილის გაუმჯობესებას. ამ უკანასკნელ დროს მომხდარ რევიზიამ გამოარკვია პურის ღირსების ნაკლულოვანება, რომელიც გამოწვეულია არა მუშების საქმისადმი გულგრილობით, არამედ ხორბლისა და ფქვილის უვარგისობით, მაგრამ ყველა დაწესებულებათა კანტროლიორები მაინც პურის საცხობში ეძებენ მიზეზს პურის თვისების დაცემისას.

ჩვენ, მუშები ყოველივე საშუალებას ვიხმართ კარგი თვისების პური გამოვაცხოთ, მაგრამ ასეთივე საშუალება უნდა იქნას მიღებული, რომ მოგვაწოდონ კარგი ფქვილი.

მუშა **დიმიტრი გოგელია.**

პროვინცია

ზემო-გომი.

ოქტომბრის 10-ს გომში მრავალ რიცხოვან მიტინგზე ვრცელი მოხსენება გააკეთა დამფუძნებელი კრების წევრმა ამხ. გ. ცინცაბაძემ, რომელმაც დაწვრილებით გააცნო დამსწრე საზოგადოებას დამფუძნებელი კრების და მთავრობის მუშაობის მთავარი გეზი.

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რაზედაც ხალხმა მიიღო დამაკმაყოფილებელი პასუხი.

საერთოდ ხალხი ამხ. ცინცაბაძის მოხსენებას გულდასმით ისმენდა.

დასასრულ მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„1920 წლის ოქტომბრის 10 მიტინგმა მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის ამხ. გ. ცინცაბაძისა დამფუძნებელი კრების და მთავრობის მუშაობის შესახებ—დაადგინა: მიტინგი სალამს უძღვნის დამფუძნებელ კრებას და მთავრობას, მიტინგი სრულიად იზიარებს დამფუძნებელი კრების და მთავრობის პოლიტიკას და უსურვებს მათ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი ხალხის და მთელი ქვეყნის დემოკრატიის საკეთილდღეოდ". **ხარდალი.**

სამურზაყანო ღალის ასაკრეფათ გამგეობამ განსაკუთრებული კომისია დანიშნა, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

თავის უკანასკნელ სხდომაზე გამგეობამ დაადგინა გამოირკვიოს მაზრის ტყეთა მდგომარეობა და ხარისხი, რისთვის აირჩია კომისიაში ა. გამისონია და ვ. კილურაძე.

ერობის გამგეობამ არ დააკმაყოფილა მოსამსახურეთა კავშირის გამგეობის მოთხოვნა ზოგიერთ საქონელზე ფასების დაკლების შესახებ. მოსამსახურენი უკმაყოფილო დარჩნენ.

ქ. სოხუმიდან მუშათა მაგიდიდან პროდუქტების მისაღებათ მოსამსახურეთა კავშირმა გაგზავნა თავისი წარმომადგენელი.

ტელეფონის შეწყვეტილი მუშაობა ამ დღეებში განახლდება. სატელეფონო მასალების მოსატანათ ქ. სოხუმში გამგეობამ გაგზავნა 12 ურემი.

ამ დღეებში ადმინისტრაციამ მოკლა ცნობილი ავაზაკი ჩქოტუა. ადმინისტრაციის მუშაობა მაზრაში მილიციის უფროსის ჩებერიას მეთაურობით საუცხოოთ მიმდინარეობს.

მცხოვრებლები შეუდგნენ სიმინდის მოწევას. მოსავალი საშუალოზე მეტია.

გამგეობას განზრახული აქვს ააშენოს ერთი სამაზრო ციხე. სათანადო მოხსენება წარდგენილია იუსტიციის სამინისტროში.

ამ დღეებში გამგეობა დაამთავრებს დაჭრილ-დასახიჩრებულ ჯარისკაცების მატერიალური მდგომარეობის გამორკვევას. სათანადო საბუთებით და შუამდგომლობით მთელი საქმე ამ დღეებში წარედგინება შრომის სამინისტროს.

დ. გალში დაარსდა აქციზის ინსპექტორის თანაშეწის თანამდებობა.

ერობის სამკურნალოში სტაციონალური კერძო ავათმყოფებზე დადებულია გადასახადი 150 მან., მოსამსახურეებზე კი 100 მან.

გამგეობამ ასწერა მთელი სატყეო მასალა ჯოტო შერვაშიძის ქარხნისა. მალე გამგეობა ამ სახერხ ქარხანას თვითონ ჩაიბარებს.

გამგეობამ გამოუცხადა დიდი მადლობა ხმალაძეს ქ. ქუთაისში სამურზაყანოს მასწავლებელთათვის კურსების მოწყობისათვის.

სკოლებში მასწავლებლები დაინიშნენ. ახალი კომპლექტები ბევრია.

სასწავლო წიგნები და ნივთები გამგეობამ ჩამოიტანა, რაც იყიდება მოსწავლეებზე ძლიერ შეღავათიან ფასებში.

დაქირავებულია „პოლტების" ქვეშ შენობები ოჭარეც და ოხურეიში.

თფილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებელში ერობის ხარჯზე სწავლობს ორი მოწაფე.

ს. ოქუმში იხსნება სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

რაიონული გვარდიის შტაბს სამეურნეოდ გამგეობამ ერთი წლის ვადით იჯარით მისცა რვა დღ. მიწა. თავისთვის კი აიღო 30 დესეტინა.

დაიხურა გამგეობის განკარგულებით დ. აჩიგვარაში თომა გვილავას აფთიაქი, რომელიც ჰყიდდა ისეთი წამლებს, რომლის კეთების უფლება მას არ ქონდა.

ბზის ხეების მზადება მაზრაში დაიწყო. ჯერ ამზადებენ კერძო პირები: ქაქუთია და იოსელიანი, რომელნიც ერობას აძლევენ დამზადებულ ბზეების 10 პროც. **ბ. აბაშელი.**

—

დ. ამბროლაური (რაჭა). ამა წლის 20 ოქტომბერს შესდგა კრება ამბროლაურის საზოგადოების მოწინავე ელემენტებისა. კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია სერგო მხეიძე და მდივნათ გრიგოლ ს. ბაქურაძე. კრების წესრიგში იყო, 1) მდინარე რიონზე და კრიხულაზე ხიდების გაგება, 2) დაბა-ამბროლაურში რვა-კლასიანი სასწავლებლის (გიმნაზიის) დაარსება.

პირველი საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა: დაევალოს ადგილობრივ სამაზ. ერობის ხმოსნებს, რომ მათ აღძრან შუამდგომლობა რაჭის სამაზრო ერობის წინაშე, რომ ახლო მომავალში იქნას ხსენებულ მდინარეებზე ხიდები გაკეთებული, რომელიც შეადგენს უმთავრეს საჭიროებას თითქმის მთელი ქვემო რაჭისათვის.

მეორე საკითხის შესახებ კრებამ მთელი საზოგადოების სახელით დაადგინა: დაევალოს ხმოსნებს ვასილ კობახიძის და სიმონ ავლეძეს როგორც პირველ, ისე მეორე საკითხის შესახებ აღძრან შუამდგომლობა ყრილობის წინაშე, რომ სულ ახლო მომავალში იქნას დაარსებული რვა კლასიანი სასწავლებელი (გიმნაზია) დაბა-ამბროლაურში, ვინაიდან ეს ადგილი წარმოადგენს ცენტრს მთელი ქვემო-რაჭისა.

რამდენიმე დღის წინათ ამავე ამბროლაურში მოხდა მომხმარებელი საზოგადოების „პროგრესის" წევრთა კრება. კრებას დაესწრო ორას კაცამდე. კრების მოწვევის მიზეზი იყო კოოპერატივის ანგარიშების გამორკვევა. ამის შესახებ მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის წევრმა ბიქტორ არაბიძემ, რომელმაც გააცნო ხალხს კოოპერატივის სრული ანგარიში. ხალხი კმაყოფილი დარჩა კოოპერატივის გამგეობის მოქმედებით და ერთხმად დაადგინა: საპაიო ხუთი თუმნის ნაცვლათ, გაადიდონ ას თუმნამდე. **მდივანი.**

წერილი რედ. მიმართ

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ჩემს საპასუხო განცხადებას იოსებ ვაჩნაძის მიმართ, მის წერილის გამო, რომელიც იყო მოთავსებული თქვენ გაზეთით 251 ნომერში.

იოსებ ვაჩნაძეს მე არ ვიცნობ, ცილის დაწამებას ჩემის მხრივ ადგილი არ ჰქონია და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემთვის ფარულად შემოეძლოს ვინმეს სურსათ-სანოვაგის გატანა. ვფიქრობ, რომ სცდება, როცა მე მასახელებს ბრალმდებლათ.

მუშათა კოოპ. „ალორძინების" გამგეობის წევრი **ნ. მახვილაძე.**

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

იყიდება

შინ გაზრდილი 7 თვის დათვი.
იკითხეთ: მამადავითის ქ. № 7, ხილის სავაჭრო დუქანში, ფარჯ. ნაძე.
(3617 2—1)

დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ფილტვი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტროკაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 და საღამოს 6—8 საათამდე.
11 დეკ.

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების

საავათმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ბოკერიასი

(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

ექიმი გ. ა. შაფრანი

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—5 [illegible] დილით. მისამართი: [illegible] ქ. № 37. 21 დეკ.)

ექიმი

გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლავების და სხ. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 14—21. ბებუთოვის ქ. № 38.
(26 ნოემბ.)

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ.
(21 ნოემ.)

ექიმი

ნიკოლოზ მახვილაძე

განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი დიაგნოზი. მიღება: დილის 10 ½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

კბილის ექიმი

ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა

ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

ექიმი

გენრიხ ისაის ძე ვოლოხა

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს. საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38.
(16—ნოემ.)

ექიმი

ნ. პ. ფალიაშვილი

სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი. ვაქცინოთერაპია, სეროტერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ჟამის საწინამდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა, ბგურის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

ექიმი

სოლომონ ისაიას ძე [illegible]

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55.
(18—ნოემ.)

სპეციალისტი მასწავლებლები

ამზადებენ ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს.
(3108—1—1)

დოქტორი მედიცინისა

ვ. პ. მოსეშვილი

დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღსთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიის ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი

ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

ქ. ზ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.
(7—ნოემ.)

ექიმი ა. დ. კეკელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

მიხეილ გედევანიშვილისა

დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი

დავით ლუკას ძე

კილურაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლეს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. 5—ნოე)

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
7—ნოემ.

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს შინაგანი ავათმყოფობისა დილის 8½—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), მუწუკის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—დეკ.)

ექიმი

კ. ცუშელაშვილი

ღებულობს ავათმყოფებს: საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 ½ საათ. მიხეილის საავათმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1 (16-ნოემ.)

10 ნოემბერს ოთხშაბათს დილისით 12 საათზე შესდგება ს. გ. მთ. შტ. სათადარიგო ცხენების განმანაწილებელ განყოფილებაში უვარგისი ცხენების შეჯიბრებულ ვაჭრობით

გაყიდვა

მისამართი კახეთის ქუჩა № 34. (3612—1—1)

სახალხო განათლების სამინისტრო'ს უწყებაში მყოფი

საბუჰალტერო კურსები

თ. მ. ფილოიანისა

ორთავე სქესისთვის. (თფილისი, მიხეილის პრ. № 24. ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული განყოფილება.
(3581—1—1)